აჭარა

გამოცემის 102-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№116 (24.996) სამშაბათი, 25 - 26 ოქტომბერი, 2022 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, დასავლეთის მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 13-18, მთაში - 5-10 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 19 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 766 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

კრიალოსა N იუსი

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი საქართველოში სამუშაო ვიზიტით მყოფ აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტ ილჰამ ალიევს შეხვდა. პირისპირ შეხვედრაზე ხაზი გაესვა ორ ქვეყანას შორის არსებულ განსაკუთრებულ მეგობრულ ურთიერთობებსა და სტრატეგიული პარტნიორობის მაღალ დონეს, ასევე, სავაჭრო-ეკონომიკური მიმართულებით ინტენსიურ თანამშრომლობას. ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, რეგიონში მშვიდობა და სტაბილურობა ეკონომიკურ განვითარებას უზრუნველყოფს. აღინიშნა, რომ საქართველო და აზერბაიჯანი საგარეო პოლიტიკის მიმართულებით მჭიდროდ თანამშრომლობენ და არსებული გამოწვევების დასაძლევად გაერთიანებული ძალებით მუშაობენ. შეხვედრაზე საუბარი შეეხო რეგიონსა და მსოფლიოში არსებულ უსაფრთხოების გარემოს.

* * *

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი, საპარლამენტო დელეგაციასთან ერთად, 24-26 ოქტომბერს ხორვატიის ქალაქ ზაგრებში ყირიმის საერთაშორისო პლატფორმის პირველ საპარლამენტო სამიტში მიიღებს მონაწილეობას. იგი სიტყვით მიმართავს მონაწილეებს. ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია პარლამენტის თავმჯდომარისა და საპარლამენტო დელეგაციის ორმხრივი შეხვედრები. სამიტში 32 პარლამენტის 43 დელეგაცია, 5 საერთაშორისო საპარლამენტო ორგანიზაცია და 26 პარლამენტის თავმჯდომარე მონაწილეობს.

* * *

მოძრაობა „ხალხის ძალას“ 200-მდე ახალი წევრი შეემატა, რომლებიც საკრებულოს წევრები და თანამდებობის პირები არიან უკლებლივ ყველა მუნიციპალიტეტიდან, - ინფორმაცია ამის შესახებ „ხალხის ძალამ“ გაავრცელა. როგორც განცხადებაში ნათქვამია, მოძრაობის მიზანი მოსახლეობის ინფორმირებაა იმ საფრთხეებისა და გამოწვევების შესახებ, რომელთა წინაშეც დღეს საქართველო დგას. დამფუძნებლები აღნიშნავენ, რომ ამ დრომდე მთავარი საფრთხე საქართველოში მეორე ფრონტის გახსნა და საქართველოს ომში ჩართვის მცდელობებია.

* * *

პარლამენტი სახალხო დამცველობის კანდიდატების მოსმენას 25 ოქტომბერს დაიწყებს და პროცესი 29 ოქტომბრის ჩათვლით გაგრძელება. კანდიდატებს ანბანური თანმიმდევრობით მოუსმენენ. ომბუდსმენის თანამდებობის დასაკავებლად პარლამენტში 19 განაცხადია შესული. პარლამენტი ყველა მათგანს მოუსმენს, რადგან პარტია „მოქალაქეებმა“ 19-ვე კანდიდატის წარდგენა საკუთარ თავზე აიღო.

მოამზადა
ია შველიძემ

მთავრობის სხდომაზე 2023 წლის აჭარის ბიუჯეტის პრიორიტეტებზე იმსჯელეს

დარინა გაბაიძე 27 48 93

აჭარის მთავრობის თავმჯდომარის განცხადებით, პირველად ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის ბიუჯეტის მოცულობამ ნახევარ მილიარდს გადააჭარბა, გაიზარდა 5,2%-ით და 507 მილიონ 300 ათასი ლარით განისაზღვრა. 4 მილიონ ლარამდე იზრდება ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამის ბიუჯეტი და თითოეულ ოჯახზე თანადაფინანსების წილი 40 ათას ლარამდე იქნება

პრიორიტეტია ტურიზმის მიმართულება. აჭარის მთავრობა 2023 წლისთვის, რეგიონში ვიზიტიორების მოზიდვისა და ტურისტული პროდუქტების განვითარების მიმართულებით 14 მილიონამდე ლარის დახარჯვას გეგმავს.

„ორნიშნა ეკონომიკურ ზრდასთან ერთად, შესაბამისი ასახვა ჰპოვა საგადასახადო შემოსულობებზე, საგადასახადო გადასახადზე და ის განისაზღვრა 410 მილიონი ლარით, რაც წინა წელთან შედარებით შეადგენს 17,2%-იან ზრდას. აღნიშნული ბიუჯეტის ფარგლებში, დაგეგმილია არაერთი მნიშვნელოვანი სოციალური, ჯანდაცვის და ინფრასტრუქტურული პროექტი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის პრიორიტეტები, რომელიც მოსახლეობისთვის წარმოადგენს ყველაზე დიდ გამოწვევას. ამ მიმართულებით, 4 მილიონი ლარით განისაზღვრა მომავალი წლისთვის ეკომიგრანტების შესაბამისი საცხოვრისით უზრუნველყოფის პროგრამა. ჩვენ ვზრდით დაფინანსებას და მომავალი წლისთვის თითოეული ეკომიგრანტი ოჯახისთვის იქნება 40 000 ლარი“, - განაცხადა თორნიკე რიუვაძემ აჭარის მთავრობის სხდომაზე.

2023 წლის ბიუჯეტი ითვალისწინებს ე.წ. ოცნების ქალაქის მშენებლობის მეორე ფაზის დაფინანსებას და შესაბამისი საბიუჯეტო დაფინანსება განისაზღვრა 17 მილიონი ლარით. აჭარის 2023 წლის ბიუჯეტით იზრდება ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამის ბიუჯეტი 4 080 000 ლარამდე, ხოლო სახელმწიფოს მხრიდან თითოეულ ოჯახზე თანადაფინანსების წილი - 40 000 ლარამდე. გაგრძელდება წყალმომარაგებისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტი. ასევე, გაგრძელდება მაღალმთიანი აჭარის გაზიფიცირება, რისთვისაც 4 500 000 ლარი დაიხარჯება.

აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის ბიუჯეტი 60 მლნ ლარამდე გაიზარდა და 2023 წელს 50 კმ-მდე გზაზე მოეწყობა ასფალტბეტონი - მათ შორისაა ტურისტული მნიშვნელობის გზა.

საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებული პირებისთვის გაიზრდება ხელფასები. იზრდება მუნიციპალიტეტების დაფინანსება კაპიტალური ტრანსფერების ნაწილში და შეადგენს 168 მლნ ლარს, რომელიც მისცემს საშუალებას მუნიციპალიტეტებს, განახორციელონ არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი.

2023 წელს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსის და სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის მშენებლობა დაიწყება, გაიზრდება სტუდენტების საზღვარგარეთ სწავლებისა და სტაჟირების დაფინანსება.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ 2023 წლის ფინანსურ დოკუმენტთან დაკავშირებით საუბრისას აღნიშნა, რომ გაიზრდება უნივერსიტეტების დაფინანსება, დაიწყება ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი საცხოვრებელი კამპუსის მშენებლობა, გაიზრდება სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის ბიუჯეტიც.

„ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება არის განათლება და ახალგაზრდობის მხარდაჭერა. ამ მიმართულებითაც იზრდება შესაბამისი პროგრამები. იზრდება როგორც დაფინანსება უნივერსიტეტის პროგრამული მიმართულებების, ასევე, ჩვენ ყველამ ერთად მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ აშენდეს ახალი საცხოვრებელი კამპუსი, 400 სტუდენტზე გათვლილი, რომელიც მისცემს საშუალებას როგორც აჭარის მაღალმთიანიდან, ასევე სხვა მეზობელი რეგიონებიდან სტუდენტებს, ძალიან მინიმალური გადასახადის საფუძველზე ისწავლონ და იცხოვრონ საერთო საცხოვრებელში. ვზრდით დაფინანსებას საზღვარგარეთ როგორც სწავლის, ასევე პრაქტიკის მიმართულებით. ამავე დროს, მინდა გაცნობოთ, რომ მომავალი წლიდან ავამოქმედებთ ინტენსიურ სასწავლო-მოსამზადებელ კურსებს როგორც ხულოს რაიონში, ასევე შუახევის რაიონში, სადაც ყველა აბიტურიენტს მიეცემა საშუალება, მოემზადოს უნივერსიტეტში ჩასაბარებლად. ასევე, მინდა აღვნიშნო, რომ ინფრასტრუქტურული პროგრამების დაფინანსება განათლების ინფრასტრუქტურის კუთხით, მომავალ წელს განისაზღვრება 25 მილიონი ლარით“, - აღნიშნა თორნიკე რიუვაძემ.

იხ. გვ-4 გვ.

საკალათბურთო კლუბი «ბათუმი» სუპერთასის მფლობელია 2

საქართველოს განუყოფელი ნაწილის დოკუპაცია დროის საკითხია 3

«ქართული ოცნების» რიგები დატოვეს 4

ვერწმუნოთ ზაქარია ჭიჭინაძეს, თუ... 5

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

ციტრუსის მოსავლის რეალიზაციისთვის

დარინა ბაბაიძე 27 48 93

ციტრუსის სეზონის შეუფერხებლად განხორციელებისა და ციტრუსის რეალიზაციის ხელშეწყობისთვის ციტრუსის საკოორდინაციო შტაბი ამოქმედდა, რომელიც აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიფვაძემ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველ მოადგილე გიორგი ხანიშვილთან და აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრ ზაზა შავაძესთან ერთად გახსნა

აჭარის მთავრობის ხელშეწყობით, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ამოქმედებული შტაბი მიზნად ისახავს ციტრუსის ლოჯისტიკისა და რეალიზაციის ხელშეწყობას, ასევე ციტრუსის სუბსიდირების უზრუნველყოფას.

შტაბი მუშაობას 1 თებერვლამდე გააგრძელებს. ამოქმედდება ცხელი ხაზი, სადაც ნებისმიერ მსურველს საჭირო ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა ექნება. აჭარის მთავრობის გადაწყვეტილებით, სამრეწველო გადამუშავების (არასტანდარტულ) მანდარინზე სუბსიდია გაიცემა. სახელმწიფოს მხრიდან 1 კგ სამრეწველო მანდარინზე 15-თეთრიანი თანადაფინანსება იქნება. 5 თეთრს გადაიხდის საწარმო, შესაბამისად, სამეწარმო გადამუშავებისთვის განკუთვნილი მანდარინის ფასი 20 თეთრი იქნება.

მიმდინარე წელს საპროგნოზო მონაცემებით, 45 ათას ტონამდე ციტრუსის მოსავალს ელიან. წელს საექსპორტო მანდარინს ციტრუსის 20-ზე მეტი მიმღებ-გადამამუშავებელი საწარმო მიიღებს, რაც შეეხება არასტანდარტულ ნაყოფს, ქობულეთის საკონსერვო ქარხანა შეუზღუდავი რაოდენობით გადაამუშავებს.

შტაბის გახსნის შემდეგ მთავრობის თავმჯდომარემ, მინისტრთან ერთად, ა(ა)იპ „აგროსერვისცენტრის“ ჩაქვის ციტრუსის სანერგე სადემონსტრაციო ნაკვეთში საადრეო მანდარინის კრეფის პროცესში მიიღო მონაწილეობა. აგროსერვის ცენტრის სადედე-სადემონსტრაციო ნაკვეთში 10 ტონამდე მანდარინი დაიკრიფება. აღებული მოსავალი გაიყიდება და შემოსული თანხა მოხმარდება ციტრუსის სანერგე მეურნეობის შემდგომ განვითარებას.

ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ აგროსერვისცენტრის ჩაქვის ციტრუსოვანთა სანერგე მეურნეობის მეციტრუსე აგრონომ ოლეგ გვარიშვილს.

- ნარინჯისფერი შემოდგომა უკვე დაიწყო. ციტრუსის საკოორდინაციო შტაბის გახსნის შემდეგ მთავრობის თავმჯდომარე მინისტრთან ერთად, ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის“ ჩაქვის ციტრუსის სანერგე-სადემონსტრაციო ნაკვეთში გვესტუმრნენ, სადაც საადრეო მანდარინის კრეფის პროცესში მიიღეს მონაწილეობა. ჩვენთან მანდარინის საადრეო ჯიშების დაკრეფა გაგრძელდება ოქტომბრის ბოლომდე. საადრეო მანდარინს ვკრეფთ ეტაპობრივად და მსურველებს შესაძლებლობა აქვთ, მოვიდნენ და შეიძინონ ადგილზე, - გვითხრა ოლეგ გვარიშვილმა.

ქართველი ფერმერები ბაღების გაშენებისთვის ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას მიიღებენ

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

2022 წლის 31 ოქტომბრიდან საქართველოს სოფლის განვითარების სააგენტო დაიწყებს ფერმერებისგან განაცხადების მიღებას „ბაღის კომპონენტის“ ქვეპროგრამაში („დარგე მომავალი“) მონაწილეობის მისაღებად, რომლის ფარგლებშიც ისინი სახელმწიფო თანადაფინანსების მიღებას შეძლებენ მრავალწლიანი კულტურების ბაღების შესაქმნელად და, ასევე, ასეთ ბაღებში წვეთოვანი სარწყავი სისტემების მოწყობისთვის

პროექტში მონაწილეობის პირობები, ძირითადად, იგივე რჩება. ქვეპროგრამის ბენეფიციარები შეიძლება იყვნენ როგორც საქართველოს ფიზიკური, ასევე იურიდიული პირები. პროექტი მოიცავს მიწის ნაკვეთებს 0,5 ჰა-დან 50 ჰა-მდე. ამავდროულად, მიწა ოფიციალურად უნდა იყოს რეგისტრირებული (საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში) და იყოს ბენეფიციარის საკუთრება ან იჯარით გაცემული, იჯარის დარჩენილი ვადით მინიმუმ 10 წელი.

განმცხადებლის მიერ ბაღის გაშენების შესახებ განაცხადის წარდგენისას ადგილზე მიწა უნდა იყოს დამუშავებული მინიმუმ 40 სმ სიღრმეზე. გარდა ამისა, ტერიტორია უზრუნველყოფილი უნდა იყოს წყლით ან წყლის მუდმივი წყარო (მდინარე, ტბა, არხი) უნდა იყოს განთავსებული მაქსიმუმ 500 მეტრ მანძილზე.

ასევე, დადგენილია გარკვეული მოთხოვნები ნერგების წარმოშობასთან დაკავშირებით. საქართველოში მათი შეძენა შესაძლებელია მხოლოდ პროგრამის „დარგე მომავალი“ ფარგლებში შერჩეულ სერტიფიცირებულ სანერგეებში. ნერგების იმპორტი ნებადართულია აშშ-დან, დიდი ბრიტანეთიდან, ევროკავშირის ქვეყნებიდან, ასევე რამდენიმე სხვა ქვეყნის კონკრეტული სანერგეებიდან, კერძოდ, უკრაინიდან, ბელარუსიდან, სერბეთიდან და თურქეთიდან.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის ფარგლებში დამატებით გათვალისწინებულია ბაღის ქიმიური დამუშავების მოწყობილობები არა უმეტეს 5000 ლარის (1,8 ათასი დოლარი) ოდენობით.

გარდა ფინანსური დახმარებისა, ბენეფიციარებს სთავაზობენ ტექნიკურ დახმარებასაც - ტრენინგებს ინტენსიური ბაღების მოვლის შესახებ.

რაც შეეხება წვეთოვანი სარწყავი სისტემების დამონტაჟების სახელმწიფო თანადაფინანსებას, ის გათვალისწინებულია პროექტის ღირებულების 50%-ის დონეზე, მაგრამ არა უმეტეს 1250 ლარისა (451 დოლარი) 0,5 ჰა-ზე, ასევე გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლები და მაღალმთიანი დასახლებები - 60%, მაგრამ არა უმეტეს 1500 ლარისა.

ერთსა და იმავე პირს შეუძლია ქვეპროგრამის ფარგლებში რამდენიმე პროექტი წარადგინოს, თუმცა მათთვის გათვალისწინებული თანადაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს, ჯამში, 250 ათას ლარს (90 ათასი დოლარი), ხოლო მთლიანი მიწის ფართობი - 50 ჰექტარს.

განაცხადები 2023 წლის 28 თებერვლამდე მიიღება.

საკალათბურთო კლუბი „ბათუმი“ სუპერთასის მფლობელია

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ოლიმპიურ სასახლეში გაიმართა მატჩი ლეგენდარული კალათბურთელისა და მწვრთნელის ოთარ ქორქიას სახელობის სუპერთასზე საკალათბურთო კლუბ „ბათუმი - 2010“-სა და მოქმედ ჩემპიონ „ქუთაისი 2010“ შორის

აღსანიშნავია, რომ ბუბა ბერიშვილისა და ლაშა ოჩხიკიძის გაწვრთნილმა ბათუმის გუნდმა გასულ სეზონში საქართველოს თასის გათამაშება მოიგო.

სუპერთასზე შეხვედრა ჩვენმა კალათბურთელებმა 17 ქულის უპირატესობით დაასრულეს - ანგარიშით 80:63 დაამარცხეს მეტოქე. დაძაბული და საინტერესო იყო მატჩის პირველი ნახევარი, მეორეში - ჩვენებმა ყველა კომპონენტში დაჯაბნეს მეტოქე და გასულ წელს მოგებულ საქართველოს თასს წელს მეორე მნიშვნელოვანი თასიც მიამატეს.

როგორც გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ბუბა ბერიშვილმა გვითხრა, 22 ქულით, 9 მოხსნითა და ექვსი პასით საუკეთესო გახლდათ ამერიკელი კაილი რიდლი, დერიკ ნიუტონმა 18 ქულა მიითვალა, სოსო გოგნაძის ანგარიშზე ორმაგი დუბლია, რომელმაც 12 ქულა შესძინა გუნდს და 15 მოხსნა შეძლო, ხოლო ახალგაზრდა გიორგი ოჩხრიკიძემ თამაში 10 ქულით, 3 ჩაჭრითა და 3 პასით დაასრულა.

მატჩის დასრულების შემდეგ, დაჯილდოების ცერემონიაზე ბათუმელთა კაპიტან ლევან ელიაძეს საქართველოს სუპერთასი ოთარ ქორქიას შვილმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა, დამსახურებულმა მწვრთნელმა ნოდარ ქორქიამ გადასცა.

ვულოცავთ ბათუმელთა გუნდს ამ მნიშვნელოვან გამარჯვებას და ახალ წარმატებებს ვუსურვებთ!

შაბათ-კვირის ქრონიკა

აჭარის სკაუტურმა ორგანიზაციამ სტამბოლის რუსთაველის კულტურის ცენტრის დამფუძნებლებს ორჰან ბერიძესა და სალომე ბარამიძეს სალონური საღამო მოუწყო. დაიგეგმა რუსთაველის საერთაშორისო კონფერენციის გამართვა ბათუმში. სტამბოლის კულტურის ცენტრი თურქეთში ქართული ენისა და კულტურის პოპულარიზაციას ათეული წლის განმავლობაში ეწევა.

* * *

ხის დარგვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ბათუმში გამწვანების აქცია ჩატარდა. სელიმ ხიმშიაშვილისა და მამია კომახიძის ქუჩებზე 100-ზე მეტი ხე, კერძოდ, ქაფური და მაგნოლია დაირგო. წლის ბოლომდე „გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური“ 3600-მდე ხე-მცენარის დარგვას გეგმავს.

* * *

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით, სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა. შეხვედრაზე ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალურ გამოწვევებსა და მდგრად განვითარებაზე, ბიზნესის განვითარების პრობლემებზე, ტურიზმის ინდუსტრიის გამოწვევებსა და კოვიდ 19-ის გავლენაზე ისაუბრეს. კონფერენციაში 15 ქართული და 7 უცხოური უნივერსიტეტის 125 წარმომადგენელი მონაწილეობდა.

* * *

საკალათბურთო კლუბი „ბათუმი“ ოთარ ქორქიას სახელობის საქართველოს სუპერთასის გამარჯვებულია. თბილისის ოლიმპიურ სასახლეში გამართულ შეხვედრაში გასული სეზონის საქართველოს თასის გამარჯვებული „ბათუმი“ სუპერლიგის ჩემპიონ „ქუთაისს“ დაუპირისპირდა და 17-ქულიანი სხვაობით, 80:63 დაამარცხა. ბათუმელების შემადგენლობიდან კაილი რიდლიმ 22 ქულა, 9 მოხსნა და 6 გადაცემა მიითვალა, ხოლო სოსო გოგნაძის ანგარიშზე 12 ქულა, 15 მოხსნა და 3 გადაცემა იყო. ამრიგად ბუბა ბერიშვილის გაწვრთნილმა „ბათუმმა“ ახალი სეზონი ტიტულით დაიწყო. საკალათბურთო კლუბი „ბათუმი“ 30 ოქტომბერს უკვე სუპერლიგის გათამაშებაში ჩაერთვება და გასვლაზე „კაკტუსის“ ესტუმრება.

* * *

საქართველოს ეროვნული ლიგის 31-ე ტურის შეხვედრაში „დინამო“ ბათუმმა გასვლაზე რუსთავში „საბურთალო“ 2-: დაამარცხა. მე-4 წუთზე ანგარიში ტაბატაძემ გახსნა და თბილისელები წინ გავიდნენ, თუმცა მალევე, 7 წუთში ფანცულაიამ ანგარიში გაათანაბრა და პირველი ტაიმი ფრედ 1:1 დასრულდა. 52-ე წუთზე გოშთელიანმა „საბურთალო“ წინ გაიყვანა, მაგრამ ფლამარიონის გადაცემის შემდეგ ანგარიში ისევ ფანცულაიამ გაათანაბრა. 64-ე წუთზე „საბურთალოს“ კარში პენალტის რეალიზება ლადო მამუჩაშვილმა მოახერხა და გეგუჩაძის გუნდმა წინ გასვლა მოახერხა. 77-ე წუთზე მამაგეიშვილმა მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და „საბურთალო“ 10 კაცის შემადგენლობით დარჩა. 90-ე წუთზე კი ბიძინაშვილის გადაცემით ვაწაძემ მატჩის საბოლოო ანგარიში 2:4 დააფიქსირა. ამ დროისთვის ბათუმელები 67 ქულით პირველ ადგილზე იმყოფებიან. გია გეგუჩაძის გუნდი მომდევნო ტურში 29 ოქტომბერს თბილისის „ლოკომოტივს“ შეხვდება.

საქართველოს განუყოფელი ნაწილის დეოკუპაცია დროის საკითხია

ამერიკელი გენერლის დამაიმედებელი პროგნოზი და რუსეთის მორიგი შანტაჟი

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

„რუსეთი უკრაინაში დამარცხდება და რამდენიმე წელიწადში დაიშლება. ამ სცენარისთვის საქართველო მზად უნდა იყოს“, - განაცხადა ამერიკელმა გენერალმა ბენ ჰოჯესმა, რომელმაც, სხვათა შორის, რუსეთის უკრაინაში შეჭრაც და მისი საბოლოო კრახიც იწინასწარმეტყველა

ეს გადამდგარი გენერალი უკრაინისა და საქართველოს ლობისტია დასავლეთში და აშშ-ის ადმინისტრაციას ამ სახელმწიფოების მხარდაჭერისკენ მოუწოდებს. რასაკვირველია, არც კრემლს ძინავს, რომლისგანაც მუქარანარევი განცხადებები გაისმის. ჯერ მედვედევმა, შემდეგ კი პუტინმა მუშტი მოუღერა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ ბალტიისპირეთის რესპუბლიკებსაც. გვეუბნებიან - ან რუსეთი, ან დასავლეთი, რაც იმას ნიშნავს, რომ რუსეთი არ იცვლება, კვლავ სახიფათოა მსოფლიო თანამეგობრობისთვის. დასავლეთი უფრო და უფრო აცნობიერებს რუსეთის ქმედებების დესტრუქციულობას და ცდილობს ადეკვატური ზომების მიღებას. „ჩვენ დავიცავთ ჩვენს მოკავშირეებს“, - განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა სტოლტენბერგმა. ცხადია, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი თავის წევრებს დაიცავს და ამაში გასაკვირი არაფერია, მაგრამ საკითხავია: რა ეშველება ნატოს მიღმა დარჩენილ (საქართველო, მოლდოვა) ქვეყნებს?! სწორედ ამ სახელმწიფოებზე რუსეთის აგრესიას ვარაუდობს ალიანსი. მაინცდამაინც ეს ორი ქვეყანა რატომ ამოიღო მიზანში რუსეთმა? მიზეზი ყველამ ვიცით - საქართველო და მოლდოვა ცდილობენ ნატოსა და ევროკავშირში გაერთიანებას. უკრაინასთან, პრაქტიკულად, ომს აგებს და ამას რუსეთშიც ხვდებიან. რეალურად უკრაინის მეშვეობით რუსეთს დასავლეთი ეომება და რუსეთი მარცხდება. უკრაინულმა არმიამ მნიშვნელოვანი ტერიტორიები დაიბრუნა და ხერსონში განლაგებული რუსული ჯარი ალყაში მოაქცია.

კრემლი უკრაინასთან მოლაპარაკების გამართვას ცდილობს, არადა, მანამდე მთელი უკრაინის დენაციფიკაციას ითხოვდა. რეალობამ დაანახა - უკრაინამ ინიციატივა ხელოთ იგდო, ანადგურებს რუსულ ჯარს (დაახლოებით 50 ათასი რუსი სამხედრო). ეს ხუმრობა არ არის, ამდენი ჯარისკაცი საბჭოთა კავშირს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ არ დაუკარგავს... სამწუხაროდ, ეს ქვეყანა არაპროგნოზირებადია. ახლა უკვე სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებს და დასავლეთს ბირთვული იარაღით ემუქრება. რუსეთისგან საქართველოს მუქარები არც ადრე აკლდა.

მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი არ მიენიჭა, ეს მხოლოდ დროის საკითხია - ამ წლის ბოლოს ან გაისად ჩვენი ქვეყანა (თუ რამე ექსტრაორდინარული არ მოხდა) სასურველ სტატუსს მიიღებს, რაც ევროკავშირში გაერთიანების წინაპირობაა. ეს კარგად აქვთ გაცნობიერებული რუსეთში. როგორც ვთქვით, დასავლეთის დახმარებით უკრაინა თუ მართლაც მოიგებს ამ ომს, ცხადია, უპირობოდ გახდება ევროატლანტიკური ორგანიზაციის წევრი და ამ კუთხით მოლდოვა და საქართველოც თუ მიაღწევენ წარმატებას, რუსეთი დაკარგავს კონტროლს არა მხოლოდ პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე, არამედ პრობლემები შეექმნება ჩრდილოეთ კავკასიაშიც. უკრაინამ და ესტონეთმა ჩეჩნეთი ოკუპირებულ ტერიტორიად აღიარეს, რაც მრავლისმთქმელია. ამას ემატება ის, რომ ნატო-საქართველოს თანამშრომლობა სულ უფრო ინტენსიური ხდება, რასაც რუსეთის მხრიდან სერიოზული ნაბიჯები მოჰყვა ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით. კერძოდ, არ წყდება „მცოცავი ოკუპაცია“ და ცდილობს აფხაზეთის სანაპიროს ხელში ჩაგდებას, რამაც თვით აფხაზებიც კი აღაშფოთა და ანტირუსული განწყობაც გააღვივა. კრემლის გზავნილი ასე იკითხება: - დროა, დაასრულოთ ნატოსთან და ევროკავშირთან ინტეგრაციის კურსი, რადგან ეს სერიოზულად უშლის ხელს რეგიონში ჩვენი ინტერესების გატარებას.

რასაკვირველია, მოვლენათა მსვლელობაში დასავლეთის ქვეყნების პრინციპულ პოზიციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ გადამწყვეტი როლი მაინც საქართველოს და მოლდოვის ხელისუფლებებს ენიჭება. თუ მათ არ დააკონკრეტეს, რომ რუსეთის მთავარი მიზანი ახალი იმპერიის აღდგენაა, მაშინ სათანადოდ ვერც დასავლეთი დაეხმარება ამ სახელმწიფოებს და რუსეთსაც გაუადვილდება მიზნის მიღწევა. არადა, კრემლმა მიზანს ნაწილობრივ მიაღწია, რაც გამოიხატა არა მხოლოდ აფხაზეთის, ცხინვალის რეგიონის, დნესტრისპირეთისა და ყირიმის ოკუპაციაში, არამედ რუსული ნარატივის და პროპაგანდის გაძლიერებაში. კერძოდ, საქართველოში გამოჩნდნენ მეტ-ნაკლებად მცირე ჯგუფები, რომლებიც საქართველოს ევროპულ არჩევანს გმობენ და რუსეთთან არსებული სტატუს-კვოს შენარჩუნებას ცდილობენ.

> ***„ნატოში შესვლაში ხელის შეშლისთვის რუსეთს ზოგან შეიძლება ომი დასჭირდეს, ზოგან - პოლიტიკური სიტუაციის არევა, ზოგან კი პროპაგანდა“. ზემოაღნიშნულის თვალსაჩინოებისთვის საკმარისია თუნდაც რუსეთის პროკურატურის ქმედება, რომელმაც დაიწყო გამოძიება. თუ რამდენად კანონიერად მიენიჭა ბალტიისპირეთის ქვეყნებს დამოუკიდებლობა***

რუსეთის ნდობა რომ არ შეიძლება, ეს კარგად გააცნობიერეს კიევში. ზელენსკიმ მკაფიოდ განაცხადა, რომ მთელი უკრაინის დეოკუპაციამდე პუტინთან მოლაპარაკებების გამართვას არ აპირებს. სავარაუდოდ, უკრაინის პრეზიდენტის ეს განცხადება დასავლეთთან შეთანხმებული იყო. ამით რუსეთის ელიტას ეუბნებიან, რომ პუტინი კეთროვანი გახდა დასავლეთისთვის. რუსეთი რომ არასდროს ასრულებს შეთანხმებას, ჩვენს ქვეყანაში არსებული სიტუაცია ამის მკაფიო მაგალითია. მოსკოვმა სარკოზი-მედვედევი-სააკაშვილის ხელმოწერილი შეთანხმება არ შეასრულა, ანუ არ გაიყვანა ჯარი ოკუპირებული ტერიტორიებიდან.

რუსეთი ენერგეტიკული შანტაჟით ემუქრება ევროპას, რათა კონტინენტზე დომინანტის პოზიცია შეინარჩუნოს. დასავლეთმა ქმედითი ნაბიჯები გადადგა საპასუხოდ - ევროკავშირი რამდენიმე თვეში რუსეთის ბუნებრივ რესურსებზე დამოკიდებულებისგან თავის დაღწევას გეგმავს. ამის შესახებ ევროკავშირის სამიტზე ევროკომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა განაცხადა: „ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ გავიმარჯვებთ და უფრო ძლიერები ვართ. ნორვეგია ევროკავშირს უკვე აწვდის ბევრად მეტ გაზს, ვიდრე რუსეთი“. გარდა ამისა, ექსპერტთა აზრით, დასავლეთმა სერიოზული ნაბიჯები უნდა გადადგას რუსეთის ჰეგემონიის შესაკავებლად, ანუ ნატო, ბოლოს და ბოლოს, აღმოსავლეთით უნდა გაფართოვდეს.

რუსეთმა საქართველოსთან და უკრაინასთან ომი იმ მოტივით წამოიწყო, რომ ნატო არ გაფართოებულიყო, მაგრამ ახლა უკვე ნატოს წევრები ფინეთი და შვედეთი გახდნენ. დასავლეთში უკვე მსჯელობენ ნატოსა და ევროკავშირის თავშეკავებაზე პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან მიმართებით. პოლიტოლოგი ანდრეი ილარიონოვი ამბობს: „ნატოს თავშეკავება რეაქციაა რუსეთის ქმედებაზე, მის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც საქართველო, მოლდოვა და უკრაინა უნდა იყვნენ, სულ მცირე, ნეიტრალური და ბუფერული ზონა რუსეთსა და ევროკავშირს შორის, მაქსიმუმ - ევრაზიული კავშირის წევრები, მაგრამ ახლა ინიციატივა დასავლეთის ხელშია. მთავარია, კანდიდატმა ქვეყნებმა საშინაო დავალება პირნათლად შეასრულონ“. ანალოგიური აზრისაა პოლიტოლოგი გელა ირემაძე: „ნატოში შესვლაში ხელის შეშლისთვის რუსეთს ზოგან შეიძლება ომი დასჭირდეს, ზოგან - პოლიტიკური სიტუაციის არევა, ზოგან კი პროპაგანდა“. ზემოაღნიშნულის თვალსაჩინოებისთვის საკმარისია თუნდაც რუსეთის პროკურატურის ქმედება, რომელმაც დაიწყო გამოძიება. თუ რამდენად კანონიერად მიენიჭა ბალტიისპირეთის ქვეყნებს დამოუკიდებლობა. რუსეთის პროკურატურას უმალ გამოეხმაურნენ ბალტიისპირეთში. კერძოდ, ლიეტუვას ყოფილმა პრეზიდენტმა მოსწრებულად აღნიშნა, რომ თავად რუსეთის სახელმწიფო უნდა დადგეს კითხვის ნიშნის ქვეშ და დათმოს დაპყრობილი ტერიტორიები, რადგან რუსეთში ძალაუფლება ბოლშევიკებმა არაკანონიერად დაისაკუთრეს. რას უნდა ნიშნავდეს კრემლის ზემოაღნიშნული ქმედება? როგორც ჩანს, რუსეთი არა მხოლოდ საქართველოს, არამედ უკვე ბალტიისპირეთის ქვეყნებსაც მოიაზრებს საკუთარი გავლენის სფეროში, მაგრამ, როგორც ვთქვით, ამას დასავლეთი არ დაუშვებს. უკრაინის ომმა დაგვანახა, რომ რუსეთი არც ისე ძლიერი სახელმწიფოა, საბჭოთა კავშირს ვერ შეედრება ვერც ეკონომიკური და ვერც სამხედრო თვალსაზრისით. ყველამ დაუსვას კითხვა საკუთარ თავს: პუტინის რუსეთი უფრო ძლიერია თუ სტალინის საბჭოთა კავშირი? და შემდეგ ასევე დასვას თანმდევი კითხვა: რუსეთს, რომელსაც უამრავი საშინაო და საგარეო პრობლემა აქვს მოუგვარებელი, შეძლებს სამუდამოდ აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის შენარჩუნებას? ექსპერტთა თქმით, რუსეთი დროთა განმავლობაში შეეგუება საქართველოს რეალურ დამოუკიდებლობას. ზემოთქმული შესაძლოა, არარეალურად მოგვეჩვენოს, მაგრამ გაგახსენებთ წარსულს - მოსკოვი ამბობდა, რომ არ შეეგუებოდა ვარშავის ბლოკის დაშლას, მაგრამ შეეგუა! მერე თქვა, რომ არაფრით დათანხმდებოდა ბალტიისპირეთის ქვეყნების ნატოში გაერთიანებას, მაგრამ ხომ დათანხმდა?! ასე რომ, საქართველოს განუყოფელი ნაწილის დეოკუპაცია დროის საკითხია. მთავარია, ამას მომზადებულნი შევხვდეთ, მით უფრო, რომ უკრაინის გამარჯვების შემთხვევაში ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციას ხელს არაფერი შეუშლის.

უცხოეთი

აშშ-ის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი აცხადებს, რომ გადაწყვეტილი აქვს, 2024 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭი მეორე ვადითაც იყაროს. „ფორმალური გადაწყვეტილება ჯერ არ მიმიღია, მაგრამ ვგეგმავ ამის გაკეთებას - განზრახული მაქვს მეორე ვადითაც ვიყარო კენჭი. ჩემი მეუღლე მიიჩნევს, რომ ძალიან მნიშვნელოვან საქმეს ვაკეთებთ და ეს არ უნდა შევწყვიტოთ“, - განაცხადა მან.

* * *

ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის პოსტი შესაძლოა, ყოფილმა კანცლერმა რიში სუნაკმა დაიკავოს. „ჩვენ გამოწვევები გვაქვს როგორც შინ, ისე ქვეყნის გარეთ. ვამბობდი, რომ მთავრობას უნდა უხელმძღვანელოს გამოცდილმა ადამიანმა და ახლაც ამ აზრზე ვარ. კანდიდატი, რომელსაც აქვს მეტ-ნაკლები გამოცდილება, ეჭვგარეშეა, არის რიში სუნაკი“, - განაცხადა გაერთიანებული სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯეიმს კლევერლიმ. მანამდე ცნობილი გახდა, რომ სუნაკმა ხელახლა წამოაყენა საკუთარი კანდიდატურა პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე. ამ პოსტზე 44-დღიანი მუშაობის შემდეგ გადადგომის განცხადება გააკეთა ლიზ ტრასმა. მან აღიარა, რომ ვერ შეძლო დაკისრებული მოვალეობის შესრულება. გაერთიანებული სამეფოს მთავრობის ხელმძღვანელად დაბრუნებაზე უარი განაცხადა ყოფილმა პრემიერმა ბორის ჯონსონმაც.

* * *

რუსეთის თავდაცვის მინისტრი სერგეი შოიგუ ამერიკელ კოლეგას ტელეფონით ესაუბრა. მათ უკრაინაში არსებული სიტუაცია განიხილეს. „მინისტრმა ოსტინმა უარყო ესკალაციის საბაბის არსებობა და დაადასტურა, რომ, უკრაინაში რუსეთის გაუმართლებელი შეჭრის ფონზე, მოსკოვთან კომუნიკაციის გაგრძელება მნიშვნელოვანია“, - აღნიშნავენ აშშ-ის საგარეო უწყებაში.

* * *

მტერთან მშვიდობა მოლაპარაკების მაგიდასთან დამყარდება, - განაცხადა საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა. მისი თქმით, „არსებობს მშვიდობის პერსპექტივა, ის რადაც მომენტში დადგება, კონკრეტულ მომენტში, იმის გათვალისწინებით, თუ როგორ განვითარდება მოვლენები და როდესაც უკრაინელი ხალხი და მისი ლიდერები გადაწყვეტენ ამის პირობებს, სამშვიდობო შეთანხმება შეიძლება დამყარდეს მეორე მხარესთან“.

* * *

სი ძინპინი ჩინეთის „კომუნისტური პარტიის“ გენერალურ მდივნად მესამე ვადით დაინიშნა. მან ახალი პოლიტბიუროს მუდმივმოქმედი კომიტეტი წარადგინა, რომელიც მისადმი ლოიალურად განწყობილი მაღალჩინოსნებითაა დაკომპლექტებული. „ჩინეთი ვერ განვითარდება მსოფლიოს გარეშე და მსოფლიოს ასევე სჭირდება ჩინეთი. 40 წელზე მეტი ხნის განმავლობაში რეფორმებისა და გახსნისკენ მიმართული დაუცხრომელი ძალისხმევის შემდეგ, ჩვენ შევქმენით ორი სასწაული - სწრაფი ეკონომიკური განვითარება და გრძელვადიანი სოციალური სტაბილურობა", - განაცხადა სი ძინპინმა.

მოამზადა
ია შველიძემ

უკრაინამ ასამდე დასახლება დაიბრუნა

უკრაინული მედიის მიერ ქვეყნის თავდაცვის სამინისტროზე დაყრდნობით გავრცელებული ინფორნაციით, უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა ხერსონის ოლქში 90-ზე მეტი დასახლება გაათავისუფლეს, სადაც 12 ათასზე მეტი ადამიანი ცხოვრობს.

მათივე ცნობით, გათავისუფლებულ დასახლებებში სტაბილიზაციის ღონისძიებები მიმდინარეობს.

შეგახსენებთ: უკრაინის თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელმა კირილ ბუდანოვმა გუშინ განაცხადა, რომ რუსებს ხერსონის ოლქში ახალი სამხედრო შენაერთები შეჰყავთ და წასასვლელად კი არა, თავდაცვისთვის ემზადებიან.

ამირან გურიელიძე

აჭარის დელეგაციის ვიზიტი – ზალცბურგში

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე ზალცბურგში, ევროპის რეგიონთა ინსტიტუტის რიგით მე-18 სამიტზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ პრეზენტაციით წარსდგა

აჭარა აღნიშნული ორგანიზაციის წევრია 2012 წლიდან. წელს ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე, რომელსაც წევრი ევროპის რეგიონების პოლიტიკური თანამდებობის პირები ესწრებოდნენ, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას უმაღლესი საბჭოს წევრები - დავით გაბაიძე, მარინე გვიანიძე, ცოტნე ანანიძე და ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი ჯაბა ფუტკარაძე წარმოადგენდნენ.

„ევროპის რეგიონთა ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ სამიტს, რომელიც ყოველწლიურად იმართება, ევროკავშირის და ევროპარლამენტის მაღალი თანამდებობის პოლიტიკოსები ესწრებიან. ღონისძიება წელს ავსტრიის კანცლერის პატრონაჟით გაიმართა“, - აღნიშნულია საკანონმდებლო ორგანოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში. მათივე ცნობით, სამიტის ფარგლებში, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე და დელეგაციის წევრები ევროპის რეგიონთა ინსტიტუტის თავმჯდომარე ფრანც შაუსბერგერს და ზალცბურგის პარლამენტის (ლანდტაგის) ვიცე-პრეზიდენტ სებასტიან ჰუბერს შეხვდნენ.

შეხვედრებზე ყურადღება გამახვილდა ევროპის რეგიონთა ურთიერთობების გაღრმავება-განვითარების საკითხებსა და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებზე.

ია შველიძე

მთავრობის სხდომაზე 2023 წლის აჭარის ბიუჯეტის პრიორიტეტებზე იმსჯელეს

პირველი გვერდიდან

2023 წელს 200-მდე სტუდენტი საზღვარგარეთ სასწავლო პრაქტიკის დაფინანსებით ისარგებლებს. 100 სტუდენტს კი საზღვარგარეთ სწავლა-სტაჟირება დაუფინანსდება.

სხდომაზე 2023 წლის აჭარის ბიუჯეტის მთავარი მიმართულებების განხილვისას აღინიშნა, რომ კულტურის განვითარებისა და პოპულარიზაციის მიმართულებით ბიუჯეტი იზრდება 40%-ით და შეადგენს 25 500 000 ლარს. შესაბამისად, გაძლიერდება ხელოვანების მხარდამჭერი პროგრამები. მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება ფესტივალებისა და სხვა კულტურული ღონისძიებების ორგანიზებაში; გაორმაგდება კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობის დაფინანსება.

„იზრდება კულტურის სფეროს და კულტურის შესაბამისი მუშაკების და პროგრამების დაფინანსება. მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება კულტურული ღონისძიებების ორგანიზების კუთხით. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ კულტურული მემკვიდრეობის მოვლის, შენახვის და რეაბილიტაციის მიზნით გაორმაგდება ბიუჯეტი და შესაბამისი პროგრამები განხორციელდება“, - აღნიშნა თორნიკე რიჟვაძემ.

2023 წელს აჭარაში სპორტის დაფინანსება მილიონი ლარით იზრდება. ასევე, იზრდება მასობრივი სპორტის და ფედერაციების დაფინანსებაც.

„იზრდება დაფინანსება სპორტის მიმართულებით. თითოეულ ფედერაციაზე დაფინანსება გაიზარდა 10 ათას ლარზე მეტით. ასევე, გაიზრდება შესაბამისი მხარდაჭერა პრიზიორების, როგორც მსოფლიოს, ისე ევროპის ჩემპიონატების და მათ ერთჯერად პრიზებთან ერთად დაენიშნებათ ყოველთვიური სტიპენდია“, - აღნიშნა მთავრობის თავმჯდომარემ.

აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბიუჯეტი 3 827 205 ლარით გაიზარდა და 32 735 000 ლარი შეადგინა. შედეგად, პირველად დაიწყება შშმ სტატუსის მქონე დედათა და ორსულთა ერთჯერადი მატერიალური დახმარება 2000 ლარის ოდენობით; გაიზრდება შშმ ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამები; გაიზრდება ელექტროეტლების რაოდენობა და დამხმარე საშუალებების ნუსხა.

4 მლნ ლარამდე გაიზარდა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების პროგრამა. „მომავალ წელს ჩვენ პრაქტიკულად გავაორმაგებთ როგორც ღვიძლის, ასევე ძვლის ტრანსპლანტაციის პროგრამას და არსებული 125 ათასი ლარი დაფინანსება გაიზრდება 235 ათას ლარამდე“, - აღნიშნა თორნიკე რიჟვაძემ.

გაიზარდა ძვლის ტვინისა და ღვიძლის ტრანსპლანტაციის დაფინანსება და ბენეფიციარების რაოდენობა. ღვიძლის ტრანსპლანტაცია დაუფინანსდება 25 პაციენტს - თითოეულს 120 000 ლარით, ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციისათვის გამოიყოფა 125 000 ლარიდან 235 000 ლარამდე.

50%-ით იზრდება 2023 წელს ტურიზმის დაფინანსება აჭარაში, გაიზრდება როგორც ტურისტული ინფრასტრუქტურის, ისე ტურისტული დანიშნულების ატრაქციების ბიუჯეტი და განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ბათუმის პოზიციონირებას საერთაშორისო ტურისტულ ბაზრებზე.

სოფლის მეურნეობის დაფინანსება გაიზარდა და განისაზღვრა 27 მილიონი ლარით. ამოქმედდა ციტრუსის სარეალიზაციო შტაბი და 2023 წლის ბიუჯეტითაც იქნება გათვალისწინებული ციტრუსის სუბსიდირების პროგრამა. გაგრძელდება სახნავ-სათესი ფართობების უფასო პროგრამა. ისეთი პროგრამები, როგორიცაა სოფლად მეწარმეობის მხარდაჭერა, საოჯახო მეურნეობების მხარდაჭერა და სხვა მნიშვნელოვანი პროგრამები.

აჭარის 2023 წლის ბიუჯეტთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ აჭარის მთავრობის თავმჯდომარე **თორნიკე რიჟვაძეს**.

- ციტრუსის სეზონთან დაკავშირებით, რას ეტყოდით ფერმერებს და თუ გაიზარდა სუბსიდირების კომპონენტი?

- გუშინ ციტრუსის საკოორდინაციო შტაბი ამოქმედდა. ყველაფერი გაკეთდება წლევანდელი ციტრუსის რთველის წარმატებით ჩატარებისთვის და ფერმერებს მიეცემათ შესაძლებლობა, დროულად დააბინავონ მოსავალი. გაიზარდა სუბსიდირების კომპონენტი და დარწმუნებული ვარ, რომ არასტანდარტული ციტრუსის რეალიზაციის კუთხითაც არ იქნება არსებითი გამოწვევები.

- მომავალი წლის ბიუჯეტში არის თუ არა გათვალისწინებული „ოცნების ქალაქის“ პროექტი?

- სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფისთვის (იგივე ოცნების ქალაქის მშენებლობისთვის) გათვალისწინებულია 17 000 000 ლარი. ოცნების ქალაქის მეორე ეტაპის განხორციელება ბიუჯეტში უკვე გათვალისწინებულია. როგორც დავპირდით მოსახლეობას, რა თქმა უნდა, მეორე ფაზაც იქნება დასრულებული და ყველა დაკმაყოფილებული.

- ბათუმში მოძრაობა შეუძლებელია, განსაკუთრებით ხელვაჩაურის მიმართულებით, რა შეგიძლიათ გვითხრათ ამ საკითხთან დაკავშირებით?

- კარგად უნდა გესმოდეთ, რომ შესაბამისი სამუშაოების გარეშე შეუძლებელია, ჩვენ მოვახდინოთ რეაბილიტაცია იმ კონკრეტული მოძველებული ინფრასტრუქტურის, რომელიც სამწუხაროდ, ბევრ ადგილას გვხვდება. მე მესმის დისკომფორტი, რასაც განიცდის მოსახლეობა, მაგრამ ამ სამუშაოების ჩატარების გარეშე ინფრასტრუქტურის პროექტი ვერ განხორციელდება.

- თქვენ ახსენეთ ახალი კამპუსის მშენებლობა, რატომ გახდა ეს აუცილებელი?

- მოგეხსენებათ, რომ ეკონომიკის და ტურიზმის ზრდასთან ერთად გაიზარდა უძრავი ქონების ქირის ღირებულება, რის გამოც სტუდენტებს სერიოზული პრობლემები შეექმნათ ამ მიმართულებით. უნივერსიტეტთან შევთანხმდით, რომ აშენდება საცხოვრებელი, სადაც 400-ზე მეტი სტუდენტი შეძლებს ცხოვრებას.

ასევე, ჩვენს კითხვებს უპასუხა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა.

- რა მიმართულებით იქნება ზრდა 2023 წლის ბიუჯეტში?

- 2023 წლისთვის სამინისტროს სისტემაში შემავალი ყველა მიმართულებით ხდება ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ზრდა. უპირველესად, ეს მოხმარდება ახალგაზრდების დაფინანსებას როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ, მათი ახალი ინიციატივების მხარდაჭერას ხელოვნების სფეროში. მოხმარდება როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური განათლების მხარდაჭერას და უფრო მეტ ინიციატივებს, სტარტაპებს. მნიშვნელოვანი სიახლე, რომელიც გვაქვს, არის ახალი სასწავლო კორპუსისა და საცხოვრებელი კამპუსის მშენებლობა. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემთხვევაში, ეს იქნება დიდი შეღავათი ჩვენი რეგიონის და არა მარტო ჩვენი რეგიონის სტუდენტებისთვის.

- რა სიახლეები გაქვთ სპორტის მიმართულებით?

- ჩვენ მიმდინარე წელს გავზარდეთ ფედერაციების დაფინანსება, რაც შენარჩუნდება და კიდევ უფრო მეტი ზრდა გვექნება სპორტული ფედერაციების მიმართულებით. ასევე გაიზრდება სპორტსკოლაში მწვრთნელების და იქ დასაქმებული პერსონალის სახელფასო ანაზღაურება. მნიშვნელოვანია, რომ სპორტის მიმართულებით, სპორტსმენების კიდევ უფრო მეტი მხარდაჭერისთვის, მოტივაციისთვის შემოგვაქვს ახალი ინიციატივა, რომელიც გულისხმობს გამარჯვებული პირებისთვის, მსოფლიო პრიზიორებისთვის, ერთჯერად ჯილდოებთან ერთად, რომელსაც აჭარის მთავრობა გასცემს, ყოველთვიური სტიპენდიის დანიშვნას, რაც მათთვის და ბევრი ახალგაზრდისთვის იქნება დამატებითი მოტივაცია. კულტურის სფეროს რაც შეეხება, განსაკუთრებული აქცენტი გვაქვს ახალგაზრდა ხელოვანის მხარდაჭერაზე, თავისუფალი ინიციატივების ბიუჯეტი 200 ათასი ლარია.

- ახალი სკოლების მშენებლობა ხომ არ იგეგმება?

- სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის ბიუჯეტი იზრდება 7 000 000 ლარით და შეადგენს 25 000 000 ლარს. შესაბამისად, აქ გათვალისწინებული არის ახალი სკოლების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ის გაცხადებული პოზიცია, რომ 2026 წლისთვის რეგიონში ყველა სკოლა უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნილ სტანდარტებს.

«ქართული ოცნების» რიგები დატოვეს

თამაზ მგზავრიძე 27 48 94

შუახევის მუნიციპალიტეტის წინა მოწვევის საკრებულოში გიორგი დავითაძე დაბა შუახევის მაჟორიტარი იყო. არჩევნებში გამარჯვების შემდეგ მას კიდევ უფრო დიდი ნდობა გამოუცხადეს და ოთხი წლით შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ აირჩიეს. ამჟამინდელი მოწვევის წარმომადგენლობით ორგანოში გიორგი დავითაძე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება «ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს» პროპორციული სიიდან აირჩიეს და საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეობა ანდეს.

წინა ორი მოწვევის შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პროპორცული სიით იყო არჩეული და საკრებულოს კომისიებს ხელმძღვანელობდა ზაზა დავითაძე. ახლანდელი მოწვევის საკრებულოში იგი დაბა შუახევის მაჟორიტარია. მან კონკურენტებს დიდი უპირატესობით აჯობა.

გიორგი დავითაძემ და ზაზა დავითაძემ «ქართული ოცნების» რიგები დატოვეს და მოძრაობა «ხალხის ძალას» შეუერთდნენ. დეპუტატების ასეთი გადაწყვეტილების მიუხედავად, 21-წევრიან წარმომადგენლობით ორგანოში «ქართული ოცნება» უმრავლესობას ინარჩუნებს.

პროვიზორი, პოლიტიკოსი, პედაგოგი, ფერმერი

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

წელს აჭარის მთიანეთში კაკლის მოსავალი ძალიან ცოტა იყო. აპრილის ერთმა სუსხიანმა ღამემ ნიგოზი და ტყემალი, ნაწილობრივ ატამიც მოყინა. მარეთის ხეობაში ერთადერთი ფერმერი მახალაკიძეებელი შოთა ფუტკარაძეა, რომელმაც ნახევარ ტონაზე მეტი კაკალი ჩამოზერტყა ახალშენი ბაღიდან

შოთა თავის დროზე კარგი პროვიზორი იყო. 1989 წლის 9 აპრილის მოვლენების მონაწილეა. დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტული ფაკულტეტი. ეროვნულ მოძრაობაშიც აქტიურად იყო ჩართული. მას საქმიანი ურთიერთობები ჰქონდა დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთან, ქალაქ ბათუმის პირველ პრეფექტ, შემდგომში ცნობილ ქართველოლოგ, აწ განსვენებულ პროფესორ ტარიელ ფუტკარაძესთან. კომუნისტური რეჟიმის შეცვლის შემდეგ ოლადაურის თემს სათავეში პირველი ჩაუდგა.

«ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს» ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ოლადაურის თემის მაჟორიტარი იყო შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოში. მისი აქტიურობით რამდენიმე მნიშვნელოვანი პროგრამა და პროექტი განხორციელდა მშობლიურ სოფელ მახალაკიძეებში, პაპოშვილებში, გორში, ოლადაურში, მაწყვალთასა და კარაპეტში. იმ წლებში შენდებოდა «შუახევიჰესი», რომელიც სათავეს სოფელ მახალაკიძეების ტერიტორიაზე მომდინარე ჩირუხისწყლიდან იღებს. მაჟორიტარი დეპუტატის ჩართულობით მოსახლეობასაც სიკეთე ჰქონდა და ჰესზე მიმდინარე სამუშაოებიც არ ფერხდებოდა. ცალკეულ აქციებზე ყოველთვის გაწონასწორებული პოზიციას იჭერდა.

მახალაკიძეების საჯარო სკოლა, რომელიც აფხაზეთის ომის გმირის ფრიდონ მახარაძის სახელს ატარებს, მატერიალური ბაზით, კვალიფიციური პედაგოგებითა და მოსწავლეთა კონტინგენტით ერთ-ერთი გამორჩეულია შუახევის მუნიციპალიტეტში. ამ საგანმანათლებლო კერაში ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებლის ვაკანსია რომ გაჩნდა, სკოლის დირექტორმა ზურაბ დარჩიძემ თანასოფლელსა და თანატოლს სთხოვა, დროებით ამ დისციპლინებში გაკვეთილები ჩაეტარებინა. შოთა ფუტკარაძემ უმალვე ალღო აუღო მინდობილ საქმეს, კოლეგების, მოსწავლეების სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

- როცა ოლადაურის საშუალო სკოლის მოსწავლე ვიყავი, ეს უძველესი განათლების კერა საქართველოში ერთ-ერთი გამორჩეული იყო. მაშინდელ მოსწავლეებს პატივი გვერგო, მოგვესმინა ქართულ ენასა და ლიტერატურაში - შოთა მიქელაძის, ბიოლოგიაში - ვლადიმერ მიქელაძის, ისტორიაში - ოთარ მაკარაძის, გეოგრაფიაში - ვახტანგ მაკარაძის, მათემატიკაში - თენგიზ როდინაძის გაკვეთილები. მათი მეთოდები, მოსწავლეებთან ურთიერთობა გახდა საფუძველი, რომ მინდობილ საქმეს მალე ავუღე ალღო. დირექტორის, სერტიფიცირებული პედაგოგის ზურაბ მახარაძის რჩევებს ვითვალისწინებდი, თანამედროვე ლიტერატურას, ტექნოლოგიებს ვეცნობოდი და დღესაც ასე მოვდივარ, - თქვა შოთა ფუტკარაძემ, რომელმაც პირველსავე ცდაზე დაძლია უფროსი და სერტიფიცირებული პედაგოგის წოდების მოსაპოვებლად საჭირო ბარიერები.

შუახევის მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი პირველი - გომარდულელი თამაზ ქარცივაძის მსგავსად, შოთა ფუტკარაძე აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შემოთავაზებულ იმ პროგრამაში ჩაერთო, რომელიც «ჩანდლერის» ჯიშის კაკლის გაშენებას ითვალისწინებდა. ყველაფერი 10 წლის წინ დაიწყო. შემოთავაზებული ნერგებიდან ნახევარზე მეტი პირველსავე წელს გაახარა. ამბობს, რომ არ იცოდა ის წესები, რაც კაკლის ხის გადარგვას სჭირდება. მეორედ შემოთავაზებული ნერგებიდან გახარების მაჩვენებელმა 70-75 პროცენტს მიაღწია.

- კაკალი ჩვენთან თითქმის ველურ მცენარედ ითვლება. იგი მეტწილად ნესტიან, ე. წ. ჩრდილოეთ ფერდობზე ხარობს. გადარგვისას ყველაზე მეტი ყურადღება ფესვს სჭირდება, რომ არ დაზიანდეს. ადგილობრივი ჯიშის კაკალზე «ჩანდლერის» დამყნობაც ვცადე. გახარების მაჩვენებელი ძალიან დაბალი გამოდგა. «ჩანდლერის» ჯიშის ჩათესვამაც არ გაამართლა, - გვითხრა შოთამ.

ნიადაგის განაყოფიერებას, წვეთოვან რწყვას ფერმერი გამორჩეულ მნიშვნელობას ანიჭებს. გასანოყიერებლად გადამწვარ ორგანულ სასუქს იყენებს.

წელს ახალშენიდან 500 კილოგრამზე მეტი ნიგოზი ჩამოზერტყა. 4 წლის წინ დარგულმა 200 ძირზე მეტმა ნერგმა უკვე «ნიშანი» მისცა. სულ მისი ბაღი 500 ძირზე მეტ «ჩანდლერის» ჯიშის კაკალს ითვლის.

მარტო კაკლის ნარგავების მოვლა-პატრონობით როდია დაკავებული ჩვენი რესპონდენტი. მეუღლისა და სამი შვილის თანადგომით, იგი პირუტყვსაც უვლის. ამჟამად ოთხი ფური ჰყავს.

შრომა, საქმისადმი ერთგულება ყოველთვის რომ ამართლებს, ეს შოთა ფუტკარაძის ცხოვრებიდანაც ნათლად ჩანს. 7-8 წლის კაკლის ბაღიდან 3-4 ტონა ნიგვზის მოსავალს მიიღებს. ახლა ერთი კილოგრამის ფასი ქვეყნის ბაზარზე 10-15 ლარის ფარგლებში მერყეობს. წელს მიღებული 500 კილოგრამიდან 400 კილოგრამს ბაზარზე გაიტანს. მოსავალი დიდ ყურადღებას, ხელს ითხოვს. საამისოდ ფარდულის აშენებას, ნედლი ნიგვზის საშრობი აპარატის შეძენას აპირებს.

- კარგია, როცა ადამიანს შრომა გიფასდება. აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა თანადგომას არ მაკლებს. ჩემი ნაკვეთი სადემონსტრაციოდ აქციეს. წელს მოსავლის აღებას შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, მისი მოადგილე, ოლადაურელთა მაჟორიტარი შუახევის საკრებულოში ფრიდონ ფუტკარაძე დაესწრნენ, - გვითხრა შოთა ფუტკარაძემ.

> ***შრომა, საქმისადმი ერთგულება ყოველთვის რომ ამართლებს, ეს შოთა ფუტკარაძის ცხოვრებიდანაც ნათლად ჩანს. 7-8 წლის კაკლის ბაღიდან 3-4 ტონა ნიგვზის მოსავალს მიიღებს. ახლა ერთი კილოგრამის ფასი ქვეყნის ბაზარზე 10-15 ლარის ფარგლებში მერყეობს. წელს მიღებული 500 კილოგრამიდან 400-ს კილოგრამს ბაზარზე გაიტანს. მოსავალი დიდ ყურადღებას, ხელს ითხოვს. საამისოდ ფარდულის აშენებას, ნედლი ნიგვზის საშრობი აპარატის შეძენას აპირებს***

საზოგადოება

ქალ სოროპტიმისტთა კლუბს ბათუმში აფხაზი ქალბატონი უხელმძღვანელებს

ნანა დავითაშვილი 598 24 94 97

საქართველოს ქალთა საერთაშორისო ორგანიზაცია „სოროპტიმისტ ინტერნაციონალის“ კლუბ „ბათუმს“ ამ დღეებში დაარსებიდან 30 წელი შეუსრულდა

თარიღი ორგანიზაციის წევრებმა სათანადოდ აღნიშნეს. ამავე დღეს აირჩიეს კლუბის ახალი პრეზიდენტი, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ იცვლება. ძველ პრეზიდენტ მაია სურმანიძისგან ახალი თანამდებობა ჩაიბარა ბათუმში მცხოვრებმა ადა ქუთელიამ. ეს პირველი შემთხვევაა, როცა ორგანიზაციას აფხაზი ქალბატონი უხელმძღვანელებს.

ადა ქუთელია აფხაზეთში, სოხუმში დაიბადა და გაიზარდა. 52 წელია ბათუმში ცხოვრობს. მისი მეუღლე, აწ გარდაცვლილი ზაურ ქუთელია, ასევე აფხაზი გახლდათ, რომელიც აქაა დაკრძალული, მისი წინაპრების მსგავსად. აფხაზების ცხოვრებას აჭარაში თითქმის 150 წელზე მეტი ხნის ისტორია აქვს. ზაურ ქუთელიას ოჯახიც პირველი მოჰაჯირობის დროს დაბრუნდა აჭარაში თურქეთიდან. ქალბატონ ადას სამი ქალიშვილი, შვილიშვილები და შვილთაშვილი ჰყავს. ის აფხაზების უბანში ცხოვრობს, ისევე, როგორც არაერთი აფხაზური ოჯახი. 15 წელია რაც სოროპტიმისტთა ორგანიზაციის წევრია, აქედან 10 წელი - კლუბის ვიცე-პრეზიდენტი.

- საქართველოს ერთი კუთხიდან - აფხაზეთიდან, მეორე კუთხეში - აჭარაში გავთხოვდი. ჩემთვის სრულიად მიუღებელია ჩვენი ახლანდელი მდგომარეობა, რადგან არ მინდა დავკარგო აფხაზეთი. იქ მყავს დები, იქაა ჩემი მამულეთ-დედულეთი. სამწუხაროა, რომ ახლა ვერც მე, ვერც ჩემი შვილები, ვერც შვილიშვილები და უკვე შვილთაშვილიც ვერ მივდივართ ისე თავისუფლად აფხაზეთში, როგორც ადრე დავდიოდით ერთმანეთთან. ეს ყველაფერი ჩემთვის ძალიან მძიმეა. არ მინდა, ეს პრობლემა დავუტოვო ჩემს შვილებს. საქართველოს ქალთა საერთაშორისო ორგანიზაცია „სოროპტიმისტ ინტერნაციონალის“ კლუბი „ბათუმი“ ძალიან კარგ პროექტს ახორციელებს, რომელსაც წელს ათი წელი შეუსრულდა. პროექტი „ქართულ-აფხაზური საგა“ ყველასთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ ჩემთვის გამორჩეულად და მიხვდებით რატომაც. სულ ვამბობ, რომ თუ ქართველმა დაკარგა აფხაზეთი, ეს ნახევარი ტკივილია, მე კი, აქ მცხოვრებმა აფხაზმა დავკარგე ყველაფერი. მინდა, იქაც ვიყო და აქაც, არ მინდა დავკარგო იქაური ჩემი სანათესაო, დავუკარგო ჩემს შვილებს მათი წინაპრების დიდი წრე... ეს ჩემთვის უდიდესი პრობლემაა.

- ახლახან აგირჩიეს კლუბ „ბათუმის“ პრეზიდენტად, თუმცა ეს საქმიანობა თქვენთვის უცხო არ არის - წლების განმავლობაში იყავით ვიცე-პრეზიდენტი. რას შეცვლით კლუბის მუშაობაში, რის განხორციელებას აპირებთ?

- ახალი წლიდან გვექნება ახალი პროგრამა, რომელსაც უკვე ვამზადებთ. რა თქმა უნდა, პრეზიდენტს ბევრი რამ ევალება და ეს კარგად მაქვს გათვითცნობიერებული. ერთი კარგად ვიცი, რომ ყველასთან - ყოფილ პრეზიდენტებთან და გამორჩეულად, რა თქმა უნდა, ამ ორგანიზაციის დამფუძნებელ და მის პირველ პრეზიდენტ ნათელა დუმბაძესთან (ის ჩვენი იდეების „გენერატორია“), ასევე, ჩიტო ომერაძესთან, რენა სარიშვილთან, მერი ზოიძესთან, მაია სურმანიძესთან ერთად, შეთანხმებულად გავაგრძელებთ იმ საქმეს, რასაც აქამდე კარგად უძღვებოდნენ ჩვენი ქალბატონები. დიდი იმედი მაქვს, რომ მხარში ამომიდგებიან, ჩვენ ხომ ერთ საქმეს ვაკეთებთ ერთობლივი ძალებით. თითოეული წევრის გვერდით დგომით ყველაფერი გამოგვივა. ამ კლუბში გაერთიანებულია აჭარის ქალთა ის საზოგადოება, რომელიც ყოველთვის ძალიან ბევრს აკეთებდა და დღესაც აკეთებს ჩვენი კუთხისთვის, მთლიანად საქართველოსთვის, - გვითხრა ადა ქუთელიამ.

> ***ვერც მე, ვერც ჩემი შვილები, ვერც შვილიშვილები და უკვე შვილთაშვილიც ვერ მივდივართ ისე თავისუფლად აფხაზეთში, როგორც ადრე დავდიოდით ერთმანეთთან***

ვერწმუნოთ ზაქარია ჭიჭინაძეს, თუ...

მიმდინარე წლის 21 დეკემბერს 70 წელი სრულდება შუახევის რაიონის დაარსებიდან. მანამდე 588 კვადრატული კილომეტრი ტერიტორია ხულოს რაიონის შემადგენლობაში იყო. 1963-1964 წლებში ისევ ხულოს რაიონში შედიოდა, ხოლო 1965 წლიდან კვლავ ცალკე რაიონია. ახლა მის შემადგენლობაში ერთი დაბა, 43 სოფელი და 25-მდე დასახლებული უბანია

შუახევი 1952 წლამდე მცირედ დასახლებული სოფელი იყო. მან დაბის სტატუსი გასული საუკუნის 70-იან წლებში მიიღო. ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზა ახლანდელი შუახევის ცენტრზე რომ გავიდა, მან მეტი მნიშვნელობა შეიძინა. ცნობილი მწერლები, საზოგადო მოღვაწეები გიორგი ყაზბეგი, თედო სახოკია, ზაქარია ჭიჭინაძე თავიანთ ჩანაწერებში შუახევს იშვიათად ახსენებდნენ. გიორგი ყაზბეგი იმასაც ამბობს, რომ მდინარე მირეთისწყალი (ჩირუხისწყალი) აჭარისწყალს ფურტიოს ბოლოს ერთვის.

ახლანდელი შუახევის რაიონის ტერიტორიაზე შუა საუკუნეების მნიშვნელოვანი საქარავნო გზები გადიოდა. არცერთი მათგანი შუახევის ახლანდელ ცენტრზე არ გაივლიდა. იგი ჭვანის, მარეთის, ტბეთის ხეობებზე გავლით სამცხე-ჯავახეთში, იმერხევში გადადიოდა. ახლანდელი ხიჭაური-ზამლეთის საავტომობილო გზის 15-კილომეტრიან მონაკვეთზე ბილიკიც არ იყო კლდისუბნისა და ჩანჩხალოს კლდეების გამო. თავის დროზე ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის მშენებლებმა როგორც მახუნცეთის კლდის, ისევე ზემოთ დასახელებული კლდის მოშლას დიდი ძალისხმევა მოანდომეს. გასულ საუკუნეში მახუნცეთის კლდის პრობლემა მოიხსნა. კლდისუბნისა და ჩანჩხალოს კლდეებზე გამავალი საავტომობილო გზა კი აქამდე პრობლემური იყო. მისი რეკონსტრუქცია ახლა მიმდინარეობს და 14 მილიონამდე ლარია მობილიზებული.

თავის წიგნში «მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში» ზაქარია ჭიჭინაძე როცა სოფელ ქედლებს აღწერს, მიანიშნებს: «გორჯიყალეს ტყეში სდგას ერთი პატარა ეკლესია. ეს მთები გადადის შუახევამდის». მას ასევე აღწერილი აქვს ახლანდელი დაბა შუახევის შემოგარენში არსებული სოფლები და დასახლებული უბნები: «გუნდარა, (გუნდაური) 30 კომლი. არის ნასაყდრალი. ორთა მეჰელე, 15 კომლი. ოქროპარული (ოქროპილაური), 10 კომლი. ამ ორ სოფელს შუა არის ერთი ძველი ციხე, რომელსაც აქაურნი «ყალე ბოინს» უხმობენ. ეს ციხე თამარ დედოფალს გაუკეთებიაო. დაბა ძველი, 10 კომლი. ბერსენაული (ბესელაშვილები), 15 კომლი. ყაიბაში (კლდისუბანი), 20 კომლი. ამ სოფელს ძველად სხვა სახელი ჰქონია, რასაკვირველია, ქართული, ყაიბაში ოსმალურია. ეკლესია ჯამედ გადაუკეთებიათ. კოლოჩნარი, 10 კომლი. ამ სოფლის ახლოს არის კავიანის ციხე, თამარ მეფის ნაშენი. მთლად სდგას. გორბაული, 15 კომლი. ამ სოფლის ახლო, კავიანის ციხის ცოტა ზევით, აჭარისწყლის ნაპირას, თბილი გოგირდის წყარო არის. აქ ბანაობენ ქარებიანი ავადმყოფნი და მალე იკურნებიანო. სვამენ კიდეც, მაგრამ წყარო ოხრად არის დატოვებული».

ახლანდელ სოფელ დროს ზაქარია ჭიჭინაძე «ვებულად» მოიხსენიებს და ასე წერს: ამ სოფელს ცოტა ზემოდ გადმოვლენ და ერთად იყრება ზეგანის ყველა ადგილების ხევები და წყლები. აჭარისწყალს აქ უერთდება ტბეთის და მირატის ხეობა თავისი წყლებით. მირატისა და ტბეთის ხევი სხალტის გვერდით სძევს, აღმოსავლეთით, მარჯვნივ». ტერიტორია, რომელიც ახლა შუახევად იწოდება, ამ ხეობებს შუაა ანუ შუა ხევია.

შუახევის ერთი კუთხე არის ახლანდელი ორთამელა. მეჰელა არაბული სიტყვაა და ქართულად სოფლის ან ქალაქის ერთ-ერთ კუთხედ, უბნად, კვარტალად განმარტავს ცნობილი მეცნიერი შოთა ნიჟარაძე თავის წიგნში: «ქართული ენის აჭარული დიალექტი ლექსიკა». მისი განმარტებით, ორთამელა ორი ოჯახის საცხოვრებელი უბანი უნდა იყოს. ამჟამად ორთამელაში მცხოვრებ მერაბ დავითაძეს თუ ვერწმუნებით, მისი წინაპარი დავით დავითაძე აქ მე-11 საუკუნიდან სახლობს. მე-20 საუკუნეში გაიჩინეს საცხოვრისი ორთამელაში ისმაილ დავითაძემ (სხეფიდან), ჯუმბერ, იდრის დავითაძეებმა ახლანდელი შუახევის ცენტრიდან. როცა რაიონის ადმინისტრაციული შენობა, სხვა ობიექტები შენდებოდა, მათ საცხოვრისი მოუნაცვლეს. ორთამელას ძველი მობინადრეები იყვნენ ოსმან, ემინ, მუხამედ (უხელა), მუხამედ დავითაძეები.

ტოპონიმი შუახევი მრავლისმთქმელია. არანაკლები მნიშვნელობისაა ტოპონიმები: ოჭორიხევი, ხევაღელე, ღელიბოლო, ქვანთიმერე, ლენძეგატორი, გორგოშაული.

დაბა შუახევის მკვიდრს, 85 წელს გადაცილებულ ოთარ სულეიმანის ძე დავითაძეს ის დროც ახსოვს, როცა ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის გაყოლებაზე ხულოს რაიონის სოფელ მეკეიძეებიდან შუახევში ზესიძედ ჩამოსული ხაჯიახმედ ხოზრევანიძის (შემდეგ დავითაძის) საცხოვრებელი სახლი იდგა. ახლა მისი შთამომავლები რამდენიმე ოჯახად არიან და დაბაში სახლობენ.



მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში დაბა შუახევის ტერიტორიაზე, ახლანდელი ჭავჭავაძისა და გოგებაშვილის ქუჩებზე (ლენძეგატორში) სახლები ააგეს ჩანჩხალოელმა შოთა დუმბაძემ, დაბაძველელმა ვახტანგ, მემედ ზოიძეებმა, სხეფელმა ვლადიმერ დავითაძემ, ოქროპილაურელმა მირიან დავითაძემ, ცინარეთელმა ოთარ ხუჯაძემ, ნიგაზეულელმა შოთა ხიმშიაშვილმა, გუნდაურელმა სულიკო ზოიძემ, თერნალელმა თამაზ დავითაძემ, გუნდაურელმა შერიფ გუნდაძემ.

ტერიტორია, რომელიც საუკუნე-ნახევრის წინ დასახლებულ უბნად არ იხსენიებოდა, ახლა ხეობებში მოქცეულ მართლაც «შუახევში» უმშვენიერეს დაბად იქცა. მისი მშვენებაა ადმინისტრაციული შენობა, რომელიც გასული საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში შევიდა ექსპლუატაციაში და თავისი არქიტექტურით გამორჩეული ნაგებობაა.

> ***„ახლანდელი შუახევის რაიონის ტერიტორიაზე შუა საუკუნეების მნიშვნელოვანი საქარავნო გზები გადიოდა. არცერთი მათგანი შუახევის ახლანდელ ცენტრზე არ გაივლიდა. იგი ჭვანის, მარეთის, ტბეთის ხეობებზე გავლით სამცხე-ჯავახეთში, იმერხევში გადადიოდა. ახლანდელი ხიჭაური-ზამლეთის საავტომობილო გზის 15-კილომეტრიან მონაკვეთზე ბილიკიც არ იყო კლდისუბნისა და ჩანჩხალოს კლდეების გამო***

1961 წელს საზეიმოდ გაიხსნა კულტურის სახლის შენობა, რომლის რესტავრაცია ახლა მიმდინარეობს. დაბაშია თხუთმეტამდე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, სავაჭრო ობიექტები, ჰოსპიტალი. უკვე ხარაჩოებს იხსნის ეკლესია, რომელიც შუახევის სავიზიტო ბარათად იქცა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ფეხბურთის სტადიონის შენობა. იგი აჭარის მთიანეთის სპორტსმენთა არენად იქცა.

ბათუმი-ახალციხის საავტომობილო მაგისტრალის 59-ე და 70-ე კილომეტრების რესტავრაციასთან ერთად, დაბა შუახევზე გამავალ გზაზე მნიშვნელოვანი სამუშაოები მიმდინარეობს. გორხანაულიდან დაწყებული, თითქმის ერთ კილომეტრზე საყრდენ კედლებს ასხამენ, სანიაღვრეებს აწყობენ, კედლებზე დეკორატიულ ფილებს ამაგრებენ. გაისადაც ადგილობრივ ბიუჯეტში 300 ათასი ლარია გამოყოფილი დაბა შუახევის ცენტრის კეთილმოწყობისთვის.

დაბა შუახევის შემადგენლობაშია ოქროპილაური, გორხანაული, კოლოშნარი, სხეფელა. სხეფელადან ლაკლაკეთში (უჩამბის ადმინისტრაციული ერთეული) გათხოვილი დები მერიემ და ხენიფე დავითაძეები იგონებდნენ, რომ ახლანდელი დაბის ტერიტორიაზე ცხვარსა და ძროხებს აბალახებდნენ. ორ ადგილას წყარო მოჩქეფდა. იქ, სადაც შუახევის პოლიციის სამმართველოს, ყოფილი კინოთეატრის, ა(ა)იპ «შუახევის კომუნალური სერვისის» შენობებია, უშველებელი, ეკალ-ბარდით დაფარული ხევი ყოფილა. ცხვარი გაბლანდულა ეკალ-ბარდებში, გოგონებს ვეღარ ამოუყვანიათ და დამხრჩვალა.

უნიკალურ ნაგებობაშია რესტორანი «შუახევი». მისი არქიტექტორი და მშენებელი ნენიელი ისაკ ქამადაძე იყო. კლდე, რომელზეც რესტორანია წამომართული, ხშირად გამხდარა ცხენისა და საქონლის გადაჩეხვის ადგილი.

მდინარე აჭარისწყალი მაშინ რესტორნის სიახლოვეს გადიოდა. გადაჩეხილი პირუტყვი მდინარეში იხრჩობოდა. სტადიონი, რომელიც ახლა შენდება, მდინარისთვის გამოტაცებულ ტერიტორიაზეა.

შუახევის ახალმშენებლებს თავის დროზე დიდი ჯაფა დაადგათ. 1970 წლამდე, ვიდრე მთა ღომიდან წყალსადენის მაგისტრალს გამოიყვანდნენ, სასმელი და ტექნიკური წყლის დეფიციტი იყო. სხეფელი ივანე დავითაძე რაიონის კომუნალური სამსახურის პირველი უფროსი იყო. იგი «ცოცხალ ჯაჭვს» გააკეთებდა და მდინარე აჭარისწყლიდან ხელდახელ ვედროებით წყალი ამოჰქონდათ გვალვიან დღეებში ახლად დარგული მცენარეების მოსარწყავად. დაბაში კულტურის სახლის წინ ივანე დავითაძის წყაროც იყო. ახლა ამ ტერიტორიის კეთილმოწყობა მიმდინარეობს. იმედია, ის წყარო თავის სახელწოდებას შეინარჩუნებს.

მეზობლების თანადგომა რომ არა...

23 ოქტომბერს, დილის საათებში, როცა ოჯახში არავინ იმყოფებოდა, ცეცხლი გაუჩნდა შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ცინარეთის მცხოვრებ გია აბაზის ძე კეჟერაძის საცხოვრებელ სახლს

ხანძარი სოფელ ხაბელაშვილებისა და ბრილის მცხოვრებლებმა რევაზ შარაშიძემ და ნუგზარ ბოლქვაძემ შენიშნეს, რომლებიც ცინარეთში სტუმრად იმყოფებოდნენ.

ალმოდებულ სახლთან პირველები დავით, შოთა, რამინ, რომან ცინარიძეები, გიორგი, ზებურ კეჟერაძეები, მამუკა აბუსელიძე, უშუნგი ბაიაძე მივიდნენ, რომლებმაც ბოსლიდან 8 სული ძროხა გამოიყვანეს, შემდეგ კი ხანძართან ბრძოლა დაიწყეს. მათი მცდელობით სახლის გვერდით არსებული ბეღელი დაწვას გადაურჩა. სახლი, ქონება, სხვა დამატებითი სათავსოები ხანძარმა შეიწირა.

შემთხვევის ადგილზე მივიდნენ შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე. ისინი ღია ცის ქვეშ დარჩენილ ოჯახს თანადგომას შეჰპირდნენ.

გია კეჟერაძის ოჯახი დროებით ზურაბ კეჟერაძემ შეიკედლა.

გვერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ

უკრაინა

- ევროპაში ბირთვული იარაღის გამოყენება მხოლოდ ერთ სუბიექტს - რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს შეუძლია და არა უკრაინას, - განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ. მისი თქმით, რუსეთის თავდაცვის მინისტრი სერგეი შოიგუ აწყობს „სატელეფონო კარუსელს“, ურეკავს საგარეო საქმეთა მინისტრებს და ესაუბრება რაღაც „ბინძური ბირთვული ბომბის“ შესახებ. მისი განაცხადებით, ყველამ კარგად იცის, ვინ არის ამ ომში ყველა სიბინძურის წყარო, რისი წარმოდგენაც კი შეიძლება. „სწორედ რუსეთმა მოაწყო რადიაციული კატასტროფის შანტაჟი ზაპოროჟიეს ატომურ ელექტროსადგურზე, სწორედ რუსული რაკეტების ტრაექტორიაა უკრაინის ბირთვული ობიექტების თავზე, სწორედ რუსმა სამხედროებმა დანაღმეს კახოვკის ჰიდროელექტროსადგურის კაშხალი, აგრეგატები და აფეთქების მუქარით შანტაჟს აწყობენ; სწორედ რუსეთია, რომელიც იყენებს ფოსფორის საბრძოლო მასალებს, აკრძალულ ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებს და იარაღების მთელ სპექტრს სამოქალაქო ინფრასტრუქტურის წინააღმდეგ. უკრაინა ყოველთვის აღდგენისკენაა მიმართული“, - აღნიშნა ზელენსკიმ. მისი თქმით, თუ ვინმეს შეუძლია, გამოიყენოს ატომური იარაღი ევროპის ჩვენს ნაწილში, ეს მხოლოდ ერთი სუბიექტია - და ამ სუბიექტმა უბრძანა ამხანაგ შოიგუს, სადმე დაერეკა. „თუ რუსეთი რეკავს და ამბობს, თითქოს უკრაინა რაღაცას ამზადებს, ეს ნიშნავს ერთს: რუსეთმა უკვე მოამზადა ეს ყველაფერი“, - აღნიშნა ვოლოდიმირ ზელენსკიმ. მისი თქმით, ახლა მსოფლიომ მაქსიმალურად მკაცრი რეაგირება უნდა მოახდინოს. შეგახსენებთ, რუსეთის თავდაცვის მინისტრმა აშშ-ის, გაერთიანებული სამეფოს, საფრანგეთისა და თურქეთის თავდაცვის მინისტრებთან სატელეფონო საუბარში განაცხადა, რომ უკრაინა ომში „ბინძური ბომბით“ პროვოკაციას გეგმავს. მანამდე რუსულმა სააგენტო „რია ნოვოსტიმ“ გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც აღნიშნულია, რომ უკრაინა, სავარაუდოდ, ამზადებს პროვოკაციას „ბინძური ბომბის“ აფეთქებით, შემდეგ კი აპირებს ამაში რუსეთის დადანაშაულებას. რუსული მედიის განმარტებით, „ბინძური ბომბი“ რადიოლოგიური იარაღის უმარტივესი ვერსიაა და მისი აფეთქების შედეგად მთავარი ზიანი არა აფეთქებას, არამედ რადიოაქტიური მასალის გაფრქვევას მოაქვს.

* * *

უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრ დმიტრო კულებას განცხადებით, აშშ-ის სახელმწიფო მდივან ენტონი ბლინკენთან სატელეფონო საუბრისას რუსეთის „ბინძური ბომბის“ დეზინფორმაციის კამპანია განიხილეს. „ენტონი ბლინკენს ტელეფონით ვესაუბრე. შევთანხმდით, რომ რუსეთის „ბინძური ბომბის“ დეზინფორმაციის კამპანია შესაძლოა, მიზნად ისახავდეს ცრუ დროშის ოპერაციის საბაბის შექმნას. ჩვენ ასევე განვიხილეთ შემდგომი პრაქტიკული ნაბიჯები უკრაინის საჰაერო თავდაცვის გასაძლიერებლად. მდივანმა დაადასტურა, რომ აშშ ამ მიზნით ძალისხმევას არ იშურებს“, - წერს კულება „ტვიტერზე“.

* * *

აშშ-ის, გაერთიანებული სამეფოსა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრები უარყოფენ რუსეთის ბრალდებებს, რომ უკრაინა საკუთარ ტერიტორიაზე „ბინძური ბომბის“ გამოყენებას გეგმავს. „ჩვენ - საფრანგეთის, გაერთიანებული სამეფოს და შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრები ვიმეორებთ ჩვენს ურყევ მხარდაჭერას უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ რუსეთის მუდმივი აგრესიის ფონზე. გავაგრძელებთ უკრაინის ძალისხმევის მხარდაჭერას, დაიცვას თავისი ტერიტორია იმდენ ხანს, რამდენიც საჭირო იქნება. თითოეული ჩვენი ქვეყნის თავდაცვის მინისტრი რუსეთის თავდაცვის მინისტრ სერგეი შოიგუს, მისივე თხოვნით, ესაუბრა. ჩვენმა ქვეყნებმა გარკვევით განაცხადეს, რომ ყველანი უარვყოფთ რუსეთის აშკარად ცრუ ბრალდებებს, რომ უკრაინა ემზადება საკუთარ ტერიტორიაზე „ბინძური ბომბის“ გამოსაყენებლად. მსოფლიო დაინახავს ამ ბრალდების ესკალაციის საბაბად გამოყენების ნებისმიერ მცდელობას. ჩვენ ასევე უარვყოფთ რუსეთის მხრიდან ესკალაციის ნებისმიერ საბაბს“, - აცხადებენ აშშ-ის, გაერთიანებული სამეფოსა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრები. ერთობლივ განცხადებაში აღნიშნულია, რომ საგარეო საქმეთა მინისტრებმა ასევე განიხილეს მათი საერთო გადაწყვეტილება, გააგრძელონ უკრაინისა და უკრაინელი ხალხის მხარდაჭერა უსაფრთხოების, ეკონომიკისა და ჰუმანიტარულ სფეროებში პრეზიდენტ პუტინის სასტიკი აგრესიული ომის ფონზე.

* * *

ბელარუსში სამობილიზაციო რესურსების აქტიური შემოწმება თითქმის ერთი თვეა, მიმდინარეობს, - ამის შესახებ უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ანგარიშშია აღნიშნული. მისი ინფორმაციით, სამობილიზაციო რესურსების გადამოწმება ოქტომბრის დასაწყისიდან გრძელდება. „შეიქმნა სპეციალური ჯგუფები, რათა გადაამოწმონ და დაზუსტდეს ინფორმაცია პოტენციური ახალწვეულების შესახებ. ზუსტდება სამხედრო ასაკის მამაკაცების საქმიანობის სახეობა, სამხედრო სპეციალობები და ოჯახური მდგომარეობა“, - ნათქვამია ანგარიშში. ამასთან, უწყების ცნობით, ბელარუსის ტერიტორიიდან უკრაინის კრიტიკულ ინფრასტრუქტურაზე სარაკეტო და საჰაერო თავდასხმების განხორციელების საფრთხე კვლავ არსებობს, მათ შორის ირანული წარმოების უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენებით.

* * *

რუსეთი აგრძელებს ირანული უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენებას უკრაინის მასშტაბით. Shahed-136-ის უპილოტო საფრენი აპარატების დამარცხების უკრაინის მცდელობები სულ უფრო წარმატებული ხდება, - ამის შესახებ გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის ანგარიშშია აღნიშნული. უწყებაში აცხადებენ, რომ ოფიციალური წყაროების, მათ შორის უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის მტკიცებით, დრონებით თავდასხმების თითქმის 85%-ის მოგერიება ხდება. ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს განმარტებით, ირანული უპილოტო საფრენი აპარატები ნელია, ხმაურიანი და დაბალ სიმაღლეებზე დაფრინავენ, რაც მათ განადგურებას აადვილებს. „რუსეთი, სავარაუდოდ, ირანული Shahed-136-ის უპილოტო საფრენი აპარატების დიდ რაოდენობას იყენებს, რათა შეაღწიოს უკრაინის საჰაერო თავდაცვაში, რომელიც სულ უფრო და უფრო ეფექტური ხდება. სავარაუდოდ, რუსეთი მათ, რუსული წარმოების შორ მანძილზე მოქმედი ზუსტი იარაღის შემცვლელად იყენებს, რომელიც სულ უფრო დეფიციტური ხდება“, - აცხადებენ ბრიტანეთის თავდაცვის უწყებაში.

* * *

- რუსი ოკუპანტები მხოლოდ ილუზიას ქმნიან, რომ ხერსონიდან მიდიან, სინამდვილეში კი ახალი სამხედრო შენაერთები შემოჰყავთ და თავდაცვისთვის ემზადებიან, - განაცხადა უკრაინის თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის მთავარი სამმართველოს უფროსმა კირილ ბუდანოვმა. მისი თქმით, სერგეი სუროვიკინი, რომელიც უკრაინის წინააღმდეგ ომში რუსეთის ჯარების სამხრეთ ჯგუფს მეთაურობს, შესაძლოა, ნიადაგს ამზადებს რუსული საზოგადოების რეაქციის შესამსუბუქებლად ხერსონის ჩაბარების ან დაკარგვის შემთხვევაში. „ქმნიან ილუზიას, რომ ყველაფერი გაქრა და, ამავდროულად, პირიქით, შემოჰყავთ ახალი სამხედრო ნაწილები და ქალაქის ქუჩებს თავდაცვისთვის ამზადებენ“, - აღნიშნა ბუდანოვმა. მისი თქმით, რუსებს ესმით, რომ თუ უკრაინის შეიარაღებული ძალები კონტროლს დაამყარებენ თუნდაც კახოვკის კაშხალზე, რომელიც ახლა ერთადერთი სრულად მოქმედი სატრანსპორტო არტერიაა, მაშინ მათ მოუწევთ ძალიან სწრაფი გადაწყვეტილების მიღება ან ქალაქის ძალიან სწრაფად დატოვება. წინააღმდეგ შემთხვევაში, რუსი სამხედროები შეიძლება ისეთ სიტუაციაში აღმოჩნდნენ, როგორშიც გაზაფხულზე მარიუპოლში უკრაინული შენაერთები მოხვდნენ. „ახლა, ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ამზადებენ ნიადაგს, რომ საჭიროების შემთხვევაში, ძალიან სწრაფად გავიდნენ იქიდან, თუმცა ახლა წასასვლელად კი არა, თავდაცვისთვის ემზადებიან“, - აღნიშნა ბუდანოვმა.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

კომერციულ ბანკებს ეკრძალებათ...

მომხმარებლებს დააკისრონ წინასწარ დაფარვის საკომისიო უცხოური ვალუტის სესხის გალარების შემთხვევაში

როგორც ეროვნული ბანკი განმარტავს, იმ შემთხვევაში, თუ უცხოური ვალუტის სესხის რეფინანსირების მიზანს სესხის ლარში გადატანა (კონვერტაცია) წარმოადგენს, ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით, კომერციულ ბანკებს ეკრძალებათ ფიზიკურ პირს დააკისრონ უცხოური ვალუტით გაცემულ სესხებზე რეფინანსირების შედეგად წინსწრების დაფარვის საკომისიო, პირგასამტეხლო ან ნებისმიერი საჯარიმო სანქცია.

„ბოლო პერიოდში გაზრდილი დაინტერესების გამო, გვსურს დამატებით განვმარტოთ, რომ კომერციულ ბანკებს ეკრძალებათ, მომხმარებლებს დააკისრონ წინასწარ დაფარვის საკომისიო უცხოური ვალუტის სესხის გალარების შემთხვევაში.

უფრო კონკრეტულად: იმ შემთხვევაში თუ უცხოური ვალუტის სესხის რეფინანსირების მიზანს სესხის ლარში გადატანა (კონვერტაცია) წარმოადგენს, ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით, კომერციულ ბანკებს ეკრძალებათ ფიზიკურ პირს დააკისრონ უცხოური ვალუტით გაცემულ სესხებზე რეფინანსირების შედეგად წინსწრების დაფარვის საკომისიო, პირგასამტეხლო ან ნებისმიერი საჯარიმო სანქცია.

აღნიშნული მითითება ვრცელდება იმ შემთხვევებშიც, როდესაც რეფინანსირება სხვა კომერციულ ბანკებში აღებული კრედიტით ხდება.

შეგახსენებთ, რომ აღნიშნული შეზღუდვა ძალაშია 2017 წლის დასაწყისიდან. დამატებითი შეკითხვებისათვის, გთხოვთ, დაუკავშირდეთ ეროვნული ბანკის ცხელ ხაზს: 2 406 406“, - აღნიშნულია ეროვნული ბანკის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ამირან გურიელიძე

ხსოვნა

სულიკო ზოიძე

ნაადრევად და მოულოდნელად წავიდა ამ სამზეოდან სიცოცხლით, ხალისით სავსე, ოჯახზე, ადამიანებზე, მამულზე უსაზღვროდ შეყვარებული, მზიანი გულის პიროვნება სულიკო (გენადი) ზოიძე. განსაკუთრებით დასანანია ის ფაქტი, რომ ბოლო ათი თვის განმავლობაში ერთი ოჯახიდან მეოთხე პიროვნება ტოვებს საყვარელ ოჯახს.

დაიბადა 1981 წლის 11 დეკემბერს. ტრადიციულ, მყუდრო, სიყვარულით გამთბარ ოჯახში იზრდებოდა. მამა - გურამ (მამუდ) ზოიძე კეთილშობილებით, გულისხმიერებით, ჰუმანურობითა და სხვა მაღალადამიანური ღირსებებით გამორჩეული პიროვნება გახლდათ. ასევე სიკეთის, სათნოების განსახიერება იყო დედა, ქალბატონი ეთერ მჟავანაძე. მშობლებმა იმთავითვე ჩაუნერგეს შვილებს შრომის, ადამიანების სიყვარული, აზიარეს სიკეთის კეთების მადლს.

დაამთავრა სახალვაშოს საჯარო სკოლა. პატარაობიდანვე ბუნების მრავალფეროვნება და მომჯადოებელი მშვენიერება იტაცებდა. თავისუფალ დროს ბუნებაში ატარებდა. უყვარდა გალაკტიონის სტრიქონების გამეორება: „მე რომ მკითხონ, რა გვინდა, რომ ბედნიერი გახდეს კაცი? - ვუპასუხებ: - „საქართველოს ეს ბუნება თვალწარმტაცი“. ამიტომაც დაუკავშირა მთელი თავისი ხანმოკლე ცხოვრება ბუნებას - მებაღე-დიზაინერის პროფესიას დაეუფლა. თვითგანათლების გზით აგრონომის პროფესიაც საკმაოდ კარგად აითვისა.

ხანმოკლე ცხოვრების მიუხედავად, მაინც ბევრის გაკეთება მოასწრო კარ-მიდამოს, გაზონების, სკვერების გამშვენიერების, ხეხილის, ციტრუსების ბაღების ახალი ნერგებით შევსებისა და, საერთოდ, მცენარეების მოვლა-გამრავლებისთვის.

გამოირჩეოდა კარგი ფიზიკური მონაცემებით, ენამზეობით, მხარში დგომით. ჩინებული მეგობრობა იცოდა. ბევრი მეგობარი და კეთილ ადამიანთა საძმო ჰყავდა, უყვარდა სტუმარმასპინძლობა, მოლხენა. იყო დიდთან დიდი და პატარასთან პატარა. ამიტომაც ყველას უყვარდა.

კარგი გვარისა და ოჯახის შთამომავალმა თავადაც სანაქებო ოჯახი შექმნა. გულისსწორთან, ერთგულ და მოსიყვარულე მეუღლე სალომე გელხვინიძესთან ერთად ორ სამაგალითო შვილს - მარიას და ნიკოლოზს უზრდიდა ქვეყანას.

ნაადრევად შემოაღამდა სულიკო ზოიძეს ცხოვრების გზაზე. მოულოდნელად დატოვა საყვარელი ოჯახი, ახლობლები, საძმო, საგვარეულო კავშირი. მისი მზე საშუადღეოზეც არ იყო მისული, ისე ჩავიდა და აღარასოდეს ამოვა, ვეღარასოდეს დაუბრუნდება მშობლიურ კერას. ბევრი განუხორციელებელი ფიქრი და ოცნება გაჰყვა, მაგრამ მისი მეუღლე და შვილები, ძმები, ბიძაშვილები მისი საქმის ღირსეული გამგრძელებლები იქნებიან, მის ოცნებას ფრთებს შეასხამენ. ღირსეულ გვარიშვილსა და ოჯახიშვილს მშობლიური მიწა ჩაიკრავს გულში. მის სამარეს, მის სახელს, მისი, მეგობრების, ახლობლების სიყვარულის შარავანდედი გაანათებს მუდამ.

სრულიად საქართველოს ზოიძეთა
საგვარეულო კავშირი

გაზეთი «აჭარა» გთავაზობთ ნებისმიერი სახის დიზაინერულ მომსახურებას, დიზაინის თანამედროვე სტილში გადაწყვეტას, რეკლამის გაფორმებას, შერჩევას. დიზაინის დამზადების მსურველებმა მიმართეთ გაზეთ «აჭარის» სარეკლამო სამსახურს. ტელ: 27 48 93.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომცემლობა რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჭარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ედოვის ქ. №2ბ
ტელ: 27-13-31
აინყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 24/10/22, 20 00 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

„ბუტიაობა“ – იუმორით შეპარებული სიმართლე

ნანა აბულაძე 577 20 35 90

ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის ისტორიაში პირველი ვოდევილი დაიდგა - რეჟისორმა პეტრე ჩარგეიშვილმა აკაკი წერეთლის ვოდევილის მიხედვით კომედიური ჟანრის სპექტაკლი „ბუტიაობა“ წარუდგინა საზოგადოებას

სპექტაკლი, რომელიც მოზარდ მაყურებელზეა გათვლილი, არაერთ საინტერესო თემას ეხმაურება და იუმორით ცდილობს, ახალგაზრდების არაერთ მნიშვნელოვან საკითხზე დაფიქრებას. ამბავი მეცხრამეტე საუკუნეში ერთ-ერთი თბილისელი თავადის ოჯახში ვითარდება. ყველაფერი იმით იწყება, რომ თავადის მოსამსახურეებს არისტოსა და ბაბალეს ერთმანეთი მოსწონთ. არისტო სიბნელეში მიეპარება ბაბალეს და ხელში აიყვანს, გოგოს ნაცვლად კი თავადის ცოლი შერჩება ხელთ. სცენას შემთხვევით შეესწრება თავადი, რაც ხდება ეჭვიანობის და დიდი გაურკვევლობის სათავე. შემდეგ ყველაფერი ისე დატრიალდება, რომ ყველა ერთმანეთს ღალატში ადანაშაულებს. ქაოსი მოიცავს თითოეულის ყოფას, თითქოს ყველა ერთ წრეზე ბრუნავს და ერთმანეთს ადანაშაულებს. აზრადაც არავის მოსდის, რომ ჰკითხონ ერთმანეთს, ისაუბრონ, გაარკვიონ სიმართლე. საქმე იქამდე მიდის, რომ თავადი ცოლთან გაყრას აპირებს, ისიც გაუელვებს გულში, რომ შური იძიოს, თუმცა ყველაფერი სიმართლის გარკვევით მთავრდება. რეჟისორი არ აძლევს არცერთ პერსონაჟს უფლებას, ეჭვიანობის გამო რაიმე სისულელე ჩაიდინოს, გმობს ძალადობას და სიმართლის ძიებისკენ მოუწოდებს თითოეულს.

სპექტაკლში ასევე ხაზგასმითაა საუბარი ტრადიციებსა და თანამედროვეობაზე. რეჟისორი ახალგაზრდებს მიანიშნებს, რომ, მიუხედავად ამა თუ იმ საკითხზე მათი შეხედულებისა, პატივი უნდა სცენ ტრადიციებს, რომელმაც დღევანდლამდე მოგვიყვანა და საქართველოს, ქართველის თვითმყოფადობის გამომხატველია. სპექტაკლში თავადის როლის შემსრულებელ მინდია ჩოხარაძის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ამბავი მეცხრამეტე საუკუნეში ხდება, თანამედროვეობასაც ერგება, რადგან დღესაც ნებისმიერ ოჯახში შეიძლება მოხდეს.

- ბატონ პეტრესთან მუშაობა იყო სასიამოვნო. ბუნებით არტისტის გამოცდილება სპექტაკლზე მუშაობისას, მაინც თავისას შვრება. ისეთ ნიუანსებზე ვამახვილებდით ყურადღებას მუშაობისას, რაც ბედნიერებაა არტისტისთვის. ვფიქრობ, რეჟისორის ჩანაფიქრის მიტანა მაყურებლამდე გამოგვივიდა, რისი თქმის საშუალებასაც მხურვალე აპლოდისმენტები მაძლევს. ჩემი პერსონაჟი ქართველი თავადია, ეროვნული სულისკვეთებით, თუმცა ევროპისკენაც იხედება. ის ხან პატიობს საკუთარ თავს რაღაცებს, ხანაც - ვერ... ძალიან საინტერესო პერსონაჟია. რაც თავადის ოჯახში ხდება, დამაინტრიგებელია და არა მარტო მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, არამედ სრულიად შესაძლებელია, ნებისმიერ ოჯახში მოხდეს. სპექტაკლი ბევრ საინტერესო მინიშნებას აძლევს დღევანდელ თაობას. ამიტომ კარგი იქნება, რაც შეიძლება მეტმა ახალგაზრდამ ნახოს და გაითავისოს, - გვითხრა მსახიობმა.

სპექტაკლის მნიშვნელობაზე, მთავარ სათქმელებზე „აჭარასთან“ ასევე ისაუბრა რეჟისორმა პეტრე ჩარგეიშვილმა:

- პირველ რიგში, მადლობა - თეატრს, სამხატვრო ხელმძღვანელს, მსახიობებს, რომ მომეცა მათთან მუშაობის შესაძლებლობა. მადლობა მაყურებლებს, რომელთა გულწრფელი ოვაციები მეტყველებს, რომ პრემიერა შედგა, სათქმელი სწორად მივიტანეთ მათთან. დღეს ყველაზე დიდ პრობლემად მივიჩნევ ქართული ოჯახების ნგრევას არაფრის გამო და მეორე, რაზეც გული მწყდება, გადაუმოწმებელი ინფორმაციების მასობრივად გავრცელებაა, რომელმაც შესაძლოა, დიდ შეცდომაში შეიყვანოს ადამიანი. სოციალურ ქსელში დაიდება რაღაც და... არც წყაროს ვეძებთ, არც იმას ვიკვლევთ, ვინ რა თქვა, ან თქვა თუ არა საერთოდ და... პირდაპირ ვტკენთ ერთმანეთს გულს, შეურაცხყოფას ვაყენებთ. შეიძლება ამის გამო მეგობარმა მეგობარი დაკარგოს, დამ - ძმა და ასე შემდეგ. ამიტომ ახალგაზრდებს ვუთხარით ამ სპექტაკლით, რომ სანამ არ გადაამოწმებენ ინფორმაციას, სანამ არ ნახავენ პირველწყაროს და არ გაიგებენ, რა ხდება, სანამ არ გაერკვევიან ბოლომდე, ნუ გადადგამენ ნაბიჯს და ნუ დაკარგავენ იმას, ვინც მათთვის ძვირფასია. მეც შვილების მამა ვარ და მინდა, თაობა ისე გაიზარდოს, რომ სიფიცხის და დაუკვირვებლობის გამო გამოუსწორებელი შეცდომები არ დაუშვას. რაც უფრო დაკვირვებულ ნაბიჯებს გადადგამენ, მით უფრო ნაკლები პრობლემა ექნებათ. რაც შეეხება სპექტაკლში კიდევ ერთ ფუნდამენტურ თემას - თაობათა ჭიდილს, ის ყოველთვის იყო და, ვფიქრობ, რაღაც დოზით სულ იქნება. ყველა თაობას თავისი ინტერესები აქვს და არ შეიძლება ეს შევუკვეცოთ. ჩვენ ერთის უფლება გვაქვს მხოლოდ - ვურჩიოთ, ავუხსნათ. თაობათა ბრძოლამ ჩვენი ქვეყანა იქამდე მიიყვანა, სადაც ვართ. არ შეიძლება ყოველთვის ვიყოთ ბრძოლაში: თაობებთან, ქვეყანაში, პოლიტიკაში, საზღვარზე... აუცილებლად უნდა მოვუმინოთ ერთმანეთს და ერთმანეთის მისწრაფებებს მივცეთ გასაქანი, მთავარია, ფუნდამენტური ღირებულებები, ფასეულობები გვქონდეს. ევროპას, ამერიკას, მთელ მსოფლიოს პატივს ვცემ, მაგრამ იმას, რაც გვაქვს, ხშირად ვივიწყებთ და სხვისას მივსდევთ, სხვისი მოგვწონს. მიმაჩნია, რომ ჯერ შენი ტრადიციები უნდა მოგწონდეს და პატივს სცემდე. სიამოვნებით ვმოგზაურობ, მაგრამ ხომ უნდა დავბრუნდე ჩემს ქვეყანაში და თუ ის არ მიყვარს, ვერ დავბრუნდები. უნდა აღინიშნოს, რომ თაობები შენიშვნებს ჩხუბად და პრეტენზიად იღებენ, მაგრამ თუ მათ სიმართლეს იუმორით შევაპარებთ, მჯერა, დავაფიქრებთ. ბავშვებს, მოზარდებს ისე უნდა მიაწოდო ინფორმაცია, როგორც მათ სურთ, სხვა შემთხვევაში მივიღებთ თაობათა ჭიდილს, რაც კვლავ დაგვაბრუნებს იმ წრეზე, რომელზეც ვბრუნავთ წლებია და ეგ ძალიან არ

მინდა. ჩვენ ბავშვებს ვაღმერთებთ. ბავშვს უნდა ასწავლო და მერე მოსთხოვო. მათ თავი უნდა ვაგრძნობინოთ ჩვენს თანატოლებად, საჭირო ადამიანებად. ჩვენი შვილები იქცევიან ისე, როგორც თავად ვიქცევით, ამიტომ ძალიან დიდი დაკვირვება გვმართებს და პასუხისმგებლობა, რომ შვილებს მხოლოდ ის კი არ დავანახოთ, რომ ტელეფონში ვიქექებით დილიდან საღამომდე, ვაჩვენოთ, როგორ ვკითხულობთ წიგნებს, ვუსმენთ მუსიკას, დავდივართ თეატრში და ასე შემდეგ, სამაგალითოები უნდა ვიყოთ მათთვის. მინდა ბევრმა მოზარდმა ნახოს სპექტაკლი „ბუტიაობა“ და თავად იფიქროს იმ და სხვა თემებზე, რაზეც სპექტაკლშია საუბარი. თუ ჩემი დადგმული სპექტაკლი დააფიქრებს მოზარდებს და ვიგრძნობ ამას, ჩავთვლი, რომ ჩემი არსებობა, როგორც რეჟისორის, გამართლებულია. ყოველთვის ჯობია სპექტაკლებიდან მკაფიოდ ისმოდეს სათქმელი, თუმცა აქვე დავსძენ, რომ იმ შემთხვევაში მივიტანთ ადრესატამდე, თუ თაობა სისტემატურად ივლის თეატრში.

თეატრს წარმატებული პრემიერა მიულოცა ახლად დანიშნულმა დირექტორმა იმედა თავდგირიძემ. როგორც ჩვენთან საუბარში აღნიშნა, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელთან ერთად არაერთი საინტერესო გეგმა აქვს:

- დაახლოებით 22 წლის წინათ, სკოლაახალდამთავრებულმა, ერთი წელი გავატარე ამ თეატრში მსახიობის ამპლუაში. სწორედ ამ თეატრმა შეცვალა ყველაფერი ჩემს ცხოვრებაში. შემდეგ ჩავბარე სარეჟისოროზე და ვმუშაობდი სხვადასხვა ადგილას... იყო ტელევიზიაში გატარებული ძალიან ბევრი წელი და დღეს ისევ ამ სიმშვიდეს დავუბრუნდი. ოთხწლიანი განვითარების გეგმა გვაქვს. კონცეფცია, რომელიც ამ ოთხწლიან განვითარების გეგმას მოიცავს, არის ძალიან ვრცელი. ბევრ პროექტს აერთიანებს და, ვფიქრობ, ძალიან საინტერესო და განსხვავებული წლები ელოდება თეატრს. ეს არ იქნება, უბრალოდ, კარგი თეატრი, გვინდა, რომ იგი იყოს საქართველოში ერთ-ერთი გამორჩეული და აქტიური, რისი რესურსიც ნამდვილად არსებობს. გვაქვს არაერთი ახალი იდეა, რომელთა განხორციელებასაც შევეჭიდები თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელ ირაკლი კიკვაძესა და თეატრში მომუშავე თითოეულ ადამიანთან ერთად, - გვითხრა იმედა თავდგირიძემ.